პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ორშაბათი,
24
დეკემბერი
1934 წ.
№ 296 (4152)

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პარტია, ჩვენი ხელისუფლება ძლიერია ამჟამად ისე, როგორც არასოდეს, ისინი დედამიწის პირიდან აღგვიან ყველას ვინც ხელყოფს მუშათა და კოლმეურნეთა მასების წმიდათა წმიდა მონაპოვარს, ვინც ხელს აღმართავს დიდი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ადამიანების წინააღმდეგ.

„პრავდა“

მეტი სიფხიზლე. შეურიგებლობა, დარაზმულობა —

პარტიის XVII ყრილობაზე ამხ. სტალინი აღნიშნავდა რა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე უდიდეს გამარჯვებებს და პარტიის რიგების უმაგალითო განმტკიცებას, გვაფრთხილებდა:

„მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბრძოლა დამთავრებულია და სოციალიზმის შემდგომი შეტევა დღის წესრიგიდან იხსნება, როგორც ზედმეტი რამ? არა, არ ნიშნავს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენს პარტიაში ყველაფერი რიგზეა, ამიერიდან არავითარ გადახრას არ ექნება ადგილი და — მაშასადამე, — ახლა შეგვიძლიან განცხრომას მივეცეთ? არა, არ ნიშნავს“.

მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის, ამხ. სტალინის ეს გენიოსური სიტყვები ერთხელ კიდევ, დაადასტურა ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ოპოზიციის საზიზღარ ნაძირალების მოქმედებამ.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობამ რომელიც „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, ცხადჰყო, რომ სმოლნში გასროლილი რევოლვერი აღმოჩნდა ზინოვიევის ყოფილი ლენინგრადის ოპოზიციის წევრის ხელში. ამ ანტიპარტიული ყოფილი ოპოზიციის ნაძირალებიდან შეიქმნა ტერორისტული არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფი.

ზინოვიევის, კამენევის, ევდოკიმოვის, ზალუცკის, ბაკაევის, კუკლინის, კოტოლინოვის, რუმიანცევის, შატსკის, ტოლმაზოვის — ამ საზიზღარი ადამიანების გვარები ერთხელ კიდევ მოაგონებს პარტიასა და კომკავშირს ზინოვიევის ყოფილი ოპოზიციის ანტიპარტიული კონტრრევოლუციური მრავალწლიან თვალთმაქცურ მუშაობას.

ზინოვიევს და კამენევს პარტია იცნობს, როგორც სოციალისტური რევოლუციის მოღალატეებს. ჯერ კიდევ ოქტომბრის პროლეტარული რევოლუციის წინ ის საზიზღარი ადამიანები გააფთრებით გამოდიოდნენ ლენინის წინააღმდეგ. მათ ბურჟუაზიულ გაზეთებში გაილაშქრეს პარტიის წინააღმდეგ, რათა ლახვარი ჩაეცათ პარტიისათვის, ხელი შეეშალათ, და არევ-დარევა შეეტანათ პროლეტარიატის რიგებში ასეთ შტრეიკბრეხერულ გზას განაგრძობდნენ ზინოვიევი და კამენევი სოციალისტური მშენებლობის ყველა შემდგომ წლებში.

ისინი ყოველთვის განიცდიდნენ სასტიკ დამარცხებებს. რის შემდეგ ეს შტრეიკბრეხერები იფარებდნენ მორჩილობის და თვინიერობის ნიღაბს. ინანიებდნენ თავის შეცდომებს, ხოლო მალულად მაინც განაგრძობდნენ თავიანთ საზიზღარ საქმეს პროლეტარიატის საზიანოდ და ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ზინოვიევის ანტიპარტიულ ოპოზიციას ლენინგრადში, რომელიც იდეურად და პოლიტიკურად დაამარცხა პარტიის გენერალური ხაზისათვის მედგარმა მებრძოლმა ამხ. კიროვმა, სწორედ მასზე მიიტანეს იერიში და ვერაგულად განგმირეს პროლეტარული რევოლუციის უდიდესი ტრიბუნი.

სმოლნში მუხანათურად გასროლილმა ტყვიამ საბოლოოდ ჩამოხადა ნიღაბი ლენინის პარტიისა და მუშათა კლასის უბოროტეს მტრებს, ზინოვიევის ყოფილ ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარ ნაძირალებს.

ზინოვიევის ყოფილი ლენინგრადის ოპოზიციის ნაძირალების ცენტრის შექმნის შესახებ ცნობას უდიდესი აღშფოთებით და ზიზღით შეხვდა მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად ტფილისის პროლეტარიატიც.

მიტინგებსა და პარტიულ კრებებზე, რომლებიც ჩატარდა ტფილისის წარმოება-დაწესებულებებში, გამოსულმა მუშებმა უდიდესი აღშფოთება გამოთქვეს ზინოვიევის ანტიპარტიული ჯგუფის ნაძირალების მუხანათურ მოქმედებაზე.

ტფილისის პროლეტარიატის მიტინგებმა და პარტიულმა კრებებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, რომ ტფილისის პროლეტარიატი მტკიცედ დგას პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე და მზად არის დაუნდობლად იბრძოლოს პროლეტარული რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ.

ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფის ნაძირალების მოქმედება ერთხელ კიდევ გვეუბნება, რომ კლასობრივი მტერი საბოლოოდ არ არის მოსპობილი, მისი აგენტურა პარტიის შიგნით საბოლოოდ არ არის განადგურებული. კლასობრივი მტრები და მისი აგენტურა ზოოლოგიური სიძულვილით გამსჭვალული საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის მიმართ — სასტიკად დამარცხებული პოლიტიკურ ბრძოლაში და სრულიად იზოლირებული პროლეტარიატისაგან, დაადგნენ ფაშისტურ გზას — ინდივიდუალურ ტერორის გზას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის მტკიცედ იდგა ლენინური პარტიის რიგების სადარაჯოზე და სასტიკ პასუხს აძლევდა გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრებს მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს, მათი ბლოკის, ტროცკისტული ოპოზიციის ნაციონალისტური უკლონისტების და მათი აგენტების წინააღმდეგ. სათანადო დასკვნას გამოიტანს ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფის ნაძირალების მოქმედებიდან. კიდევ უფრო გაამახვილებს კლასობრივ სიფხიზლეს და გაშლის დაუნდობელ ბრძოლას ტროცკისტულ-მენშევიკური ნაძირალების, ნაციონალისტურ უკლონისტურ ელემენტების წინააღმდეგ, საბოლოოდ აღმოფხვრის მათ ნამსხვრევებს.

უფრო მაღლა ავწიოთ თვითეული კომუნისტის და კომკავშირელის რევოლუციური სიფხიზლე!

მუშათა კლასის მტრებს, პარტიის მტრებს არავითარი დანდობა!

კლასობრივი მტრის გამოლაშქრებას ვუპასუხოთ პარტიის რკინისებური რიგების უფრო მეტად შემჭიდროებით ლენინის პარტიის და სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ! კიდევ მეტი ენერგიით განვაგრძოთ ბრძოლა კლასების საბოლოო ლიკვიდაციის და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის მეორე ხუთწლედში.

მანქანებს, მექანიზმებს — კულტურული მომსახურება!

ჩვენი მრეწველობის პროდუქციის შემდგომი ჩქარი ზრდა დამოკიდებულია არა მარტო მაღალი ხარისხის ნედლი მასალის დროულ მიწოდებაზე, წარმოების სწორ ორგანიზაციაზე, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა დამკვრელურ მუშაობაზე, არამედ წარმოებათა მოწყობილობის სიმძლავრის გამოყენების ფარგლებზედაც, ამ მოწყობილობათა და მანქანა-იარაღების მიმართ კულტურულ, ფრთხილ და ტექნიკურად სწორ დამოკიდებულებაზედაც.

მაღალი ტექნიკა, არსებული მანქანების გამოყენება, სხვა პირობებთან ერთად, მხოლოდ მაშინ მოგვცემს ძალიან საწარმოო ეფექტს, როდესაც მათ თან ახლდება მაღალი საწარმოო კულტურა და დისციპლინა. გაიზარდა ჩვენი ტექნიკური სიძლიერე და გამოცდილება. მთელი [illegible] მიღწევები მოვიპოვეთ ახალი ტექნიკის ათვისებაში. მთელი რიგი წარმოებები [illegible] უკანასკნელი სიტყვის ტექნიკით. რამაც საშუალება მოგვცა ისეთი გრანდიოზული ამოცანის დასახვისა, როგორიცაა მეორე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება; მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული, მოფიქრებული და ბეჯითი მუშაობა უნდა ჩავატაროთ, რათა ყველა ჩვენი მრეწველობის ძირითადმა ფონდებმა მოგვცეს მაღალი საწარმოო ეფექტი, რათა რაციონალურად გამოვიყენოთ ყველა შინაგანი რესურსი.

ამხ. ს. ორჯონიკიძემ სამეურნეო მუშაკთა თათბირზე აღნიშნა, რომ მანქანებს, მექანიზმებს და აგრეგატებს ჩვენი ზოგიერთი მუშაკი პირდაპირ ბარბაროსულად ეკიდება, და თუ მათი მომსახურება არ გავაუმჯობესეთ, მანქანებს დავღუპავთ. მიუხედავად ამისა, ზოგან მაინც ვამჩნევთ დაუდევრობას და მანქანების უხეშ მოპყრობას.

აი ფაქტები:

ჭიათურის მარგანტრესტის ელექტრომეურნეობაში მოწყობილობებს ეპყრობიან ცუდად, არღვევენ ექსპლოატაციის ნორმებს. მთავარ სახელოსნოს ელექტროსაამქროში, სადაც 6 ათასვოლტიანი ტრანსფორმატორი მუშაობს, სიბინძურეა, ოთახი ღიაა და მუშა იქვე აწარმოებს ძრავების შეკეთებას. მთელ რიგ მაღაროებში ტრანსფორმატორების ჯიხურები ჭუჭყიანია, ისინი გადაქცეულია საწყობებად; № 11 მაღაროს კიოსკში ქაოსია, იგი მონაგვიანებულია, შიგ ყრია ჭუჭყიანი ინსტრუმენტები და მავთულები.

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში ელექტროდების დაკავებას ემსახურება ჰიდრავლიკა, მაგრამ მისდამი უკულტურო დამოკიდებულების გამო ის ხშირად ზიანდება. სადნობ საამქროში დაყენებულია ორი ამწევი კრანი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამი ღუმელის მოთხოვნილებას, ამავე დროს კი ზოგიერთი მომუშავეთა უკულტურო ქცევის გამო კრანები ხშირად ზიანდება.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ტექნიკის ათვისების საქმე არ არის კარგად დაყენებული: გვირაბის ვაგონები, რელსები უპატრონოდ ყრია და ფუჭდება, ამავე დროს კი მის ნაკლებობას განიცდიან; მექანიკური სახელოსნო კი თვლემს. ტყიბულის ბრიკეტის ქარხანაში მანქანებს მზრუნველობით არ ეპყრობიან, ხოლო გაცვეთილი მანქანების შეკეთებაზე თავს არავინ იწუხებს.

ქ. ტფილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკაში თითქმის არ წარმოებს მანქანების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება, მანქანებს არ ზეთავენ და არ ასუფთავებენ, რის გამოც ისინი მალე გამოდიან მწყობრიდან. უმოქმედოდ მდგარ შეუკეთებელ მანქანებს შეკეთების ნაცვლად აცლიან ნაწილებს და უკეთებენ სხვა მანქანებს.

ასეთი უკულტურო დამოკიდებულება მანქანებისადმი ყოვლად დაუშვებელია. ტექნიკის ათვისებაში ჩვენ მოვიპოვეთ მთელი რიგი გადამწყვეტი მიღწევები. მრეწველობას ჰყავს ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა ძლიერი კადრები, რომლებმაც დააგროვეს მდიდარი ტექნიკური გამოცდილება. მათ უნდა მოვთხოვოთ მანქანების, მექანიზმების და აგრეგატების კულტურული მომსახურება. ყოველგვარი „იერიშობა“ და უყურადღებობა არღვევს წარმოების ნორმალურ რიტმს, ნორმალურ ტექნოლოგიურ პროცესს, იწვევს ავარიებს, მანქანების წახდენას, სწრაფ გაცვეთას. როგორც თვითეული მუშის, ისე ინჟ.-ტექნიკური პერსონალის მოვალეობაა გაუფრთხილდეს მანქანას, ტექნიკას, გამოიყენოს ის უფრო რაციონალურად და ეფექტიანად. ამას მოითხოვს პარტია, ხელისუფლება, წარმოების ინტერესები.

ოქტომბრის რევოლუციის მტრებს გავგმირავთ! პროლეტარული დიქტატურის მახვილით!

მოსკოვი

22 დეკემბერს, მოსკოვის ქარხნებსა და ფაბრიკებში გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც განხილული იქნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა ს. მ. კიროვის მოკვლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და „პრავდის“ 22 დეკემბრის მოწინავე.

ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ყველა საამქროში დილის ცვლაში წაკითხულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა ს. მ. კიროვის მოკვლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და „პრავდის“ მოწინავე.

პარტგანათლების ქსელის ყველა სკოლაში გაიმართა საუბრები ამ საკითხზე.

საღამოს ცვლაში საამქროებში ჩატარდა მრავალი მიტინგი. მუშები მოითხოვენ რევოლუციის საქმის მოღალატეების დაუნდობლად დასჯას.

— გავეცანით რა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობებს, აცხადებენ ტრიოხგორკის მუშები თავის რეზოლუციაში, — ჩვენ წყევა-კრულვას ვუთვლით მკვლელებს. გავაძლიერებთ ჩვენს პროლეტარულ სიფხიზლეს. გამოვააშკარავებთ რევოლუციის მტრებს, გავგმირავთ მათ პროლეტარული დიქტატურის მახვილით.

⁂

ქარხანა „ბორეცის“ ყველა საამქროში ჩატარდა მუშების და მოსამსახურეების მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც უდიდესი ყურადღებით განხილულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა და „პრავდის“ მოწინავე.

ქარხანა „ბორეცის“ მუშები, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები, — ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში, — უღრმესი აღშფოთებით და სიძულვილით სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ზინოვიევ-კამენევის ყოფ. განადგურებულ ანტიპარტიული ჯგუფის სამგზის წყეულ ნაძირალებს. თქვენ, საზიზღარო ნაძირალებო, ვერ შეაჩერებთ საბჭოთა კავშირის პროლეტარების ძლევამოსილ წინსვლას სოციალიზმისაკენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. პროლეტარების რკინის რიგები გასწევენ მოსისხლე ქვეწარმავალთ, რომლებიც თავის ბინძურ საქმეს აკეთებენ. მეტი სიფხიზლე! უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ჩვენი კომუნისტური პარტიის და დიდი ბრძენი სტალინის გარშემო! არავითარი დანდობა მუშათა კლასის მტრებს!

⁂

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშებმა თავის გამოსვლებში გუშინდელ მიტინგებზე მოითხოვეს სასტიკად დაისაჯონ ზინოვიევის ყოფილი ოპოზიციის საზიზღარი ნაძირალები, რომლებიც დაადგნენ ინდივიდუალური ფაშისტური ტერორის გზას.

უფრო მეტად გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, — ამბობდნენ ქარხნის მუშები.

— ჩვენ ვთხოვთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩაატაროს პარტიის იმ წევრთა გულდასმით შემოწმება, რომლებიც ეკუთვნოდნენ ზინოვიევის ოპოზიციას და გარიცხოს პარტიიდან ისინი, რომლებმაც მხოლოდ სიტყვით უარყვეს თავისი წარსული შეხედულებანი, ხოლო საქმით აწარმოებენ დამარღვეველ მუშაობას.

⁂

ღრმა აღშფოთებით გაიგეს ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშებმა, რომ ს. მ. კიროვის ვერაგული მკვლელობა ჩადენილია ზინოვიევის ყოფილი ოპოზიციის ნაძირალების მიერ. მიტინგებზე ტრიბუნიდან მოლაპარაკენი მოითხოვენ იმ გამცემლების და მოღალატეების უსასტიკეს დასჯას, რომლებიც ცდილობენ ტერორისტული აქტებით დეზორგანიზაცია შეიტანონ ჩვენს რიგებში.

⁂

ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის 2600 მუშა მონაწილეობდა ღამის მიტინგში, რომელიც გაიმართა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობის განსახილველად. ამაზე გამოვიდა 38 ორატორი. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ საჭიროა [illegible] ჩვენი ბოლშევიკური [illegible], გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე.

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— [illegible] ზინოვიევის ყოფილი ოპოზიციის საზიზღარ ნაძირალების [illegible] მთელს სიძლიერეს.

⁂

როცა გაზეთებში გამოქვეყნდა ს. მ. კიროვის საზიზღარ მკვლელთა სახელები, ქარხანა „მოსკაბელის“ ყველა საამქროში გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მუშებში [illegible] იწვევს მუშათა კლასის მოღალატეების საზიზღარი გამოხტომა.

ანტისაბჭოთა ჯგუფის არამზადების [illegible] საზიზღარ გასროლას, — ნათქვამია „მოსკაბელის“ კოლექტივის რეზოლუციაში, — ჩვენ ვუპასუხებთ კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერებით, პარტიისა და დიდი ბელადის — საყვარელი სტალინის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით, [illegible] სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მუშებმა განაცხადეს:

— ჩვენ, მუშები, არასოდეს არ დავივიწყებთ ზინოვიევშჩინის ნაძირალთა საზიზღარ ბოროტმოქმედებას. პროლეტარული დიქტატურის ორგანოებმა უნდა მოგვაშორონ გზიდან საზიზღარი ქვემძრომი.

პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, არ დაინდობს სამშობლოს მოღალატეებს. ერთი ასად გავაძლიეროთ ჩვენი პროლეტარული სიფხიზლე, კიდევ უფრო მეტი ენერგიით და ბოლშევიკური შეუპოვრობით ვიბრძოლოთ ლითონისათვის.

⁂

„ჩვენ ვარწმუნებთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს ბელადს და მასწავლებელს ამხ. სტალინს, — ნათქვამია ელექტროკომბინატელთა რეზოლუციაში, — რომ ვერავინ შეაჩერებს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას უკლასო საზოგადოებისაკენ“.

⁂

22 დეკემბერს, საღამოს სტალინის სახელობის ავტოქარხნის საამქროებში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები. უდიდესი მრისხანებით აღსავსე იყო მუშების გამოსვლები სოციალისტური სამშობლოს მოღალატეების წინააღმდეგ, ზინოვიევის ყოფ. ოპოზიციის უბადრუკი ნაძირალების წინააღმდეგ. ქარხნის მუშები ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში აცხადებენ:

— კლასობრივი მტრის საზიზღარ გამოსვლას ჩვენ ვუპასუხებთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი სტალინის, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის და ამხ. კაგანოვიჩის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით. ვუპასუხებთ საავტომობილო გიგანტის ახალი რეკონსტრუქციისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

⁂

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობამ ს. მ. კიროვის მკვლელობის საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ ფეხზე დააყენა საკისრების სახელმწიფო ქარხნის მთელი 17 ათასიანი კოლექტივი. სასადილოდ შესვენების დროს სასადილოში, წითელ კუთხეებში, [illegible] ყველგან მოჩანდნენ მუშების ჯგუფები, რომლებიც აღელვებით იხილავდნენ გაზეთში მოთავსებულ დოკუმენტებს ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ოპოზიციის ნაძირალების [illegible] შესახებ.

მუშაობის შემდეგ გაიმართა სახელდახელო მიტინგები.

— დაე იცოდეს ყველა მტერმა, — განაცხადეს თავის რეზოლუციაში საკისრების სახელმწიფო ქარხნის მუშებმა, — რომ პროლეტარული დიქტატურის ძლევამოსილი მახვილი განგმირავს ყველას, ვინც შეეცდება ხელი ახლოს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს, ჩვენს დიად სოციალისტურ მშენებლობას (ადს)

ტფილისი

ტფილისის ქარხნებსა და ფაბრიკებში 22 დეკემბერს ღამით დაწყებული მიტინგები, რომლებიც იხილავდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობას ამხ. ს. მ. კიროვის მკვლელობის საქმის გამო წინასწარი კვლევა-ძიების დამთავრების შესახებ და 22 დეკემბრის „პრავდის“ მოწინავე წერილს, 23 დეკემბრის დილიდან გრძელდებოდა ტფილისის ყველა საწარმოში.

26 კომუნარის სახ. ქარხანა.

„26“ კომუნარის სახ. მანქანათმშენებელ ქარხანაში მოწყობილ მიტინგს დაესწრო დაახლოვებით 700 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

საუკეთესო პასუხს ამხ. კიროვის მკვლელობაზე, — აცხადებენ მიტინგზე გამოსული მუშები, — წარმოადგენს ჩვენ მიერ ნაკისრები და შესრულებული ვალდებულება წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. ამჟამად ჩვენ ვკისრულობთ გადაჭარბებით შევასრულოთ წლიური გეგმა, გავაძლიეროთ სიფხიზლე და კიდევ უფრო მეტად შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის და დიდი სტალინის გარშემო.

— ჩვენ, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ზინოვიევის ოპოზიციის საზიზღარი აგენტის გასროლის საპასუხოდ, მუშათა სამგზის საზიზღარი მტრების აგენტის გამოსვლის საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს ლენინური ცენტრალური კომიტეტის და საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო. კიდევ უფრო გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. მშრალად შევინახავთ თოფის წამალს განადგურებული ანტიპარტიული ჯგუფების უბადრუკი ნამსხვრევების საბოლოოდ მოსასპობად“.

ტფილისის ტრამვაი.

ტფილისის ტრამვაის სახელოსნოების და მიმდინარე რემონტის მუშებმა, როცა გაიგეს, რომ საყვარელი მირონიჩი მოკლულია ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარი ნაძირალების მიერ, მიღებულ რეზოლუციაში განაცხადეს:

„კაცობრიობის საზიზღარო, უბადრუკო ნაშთებო, თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ სისაძაგლის ჩადენა. მაგრამ დამპალო ზინოვიელებო, ჩვენ ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ თქვენ ვერ შეაჩერებთ საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილ მსვლელობას!

დაე, იცოდნენ ზინოვიევის ჯგუფის ნამსხვრევებმა, რომ ჩვენ, ტრამვაელები, უსათუოდ შევასრულებთ 1934 წლის გეგმას, ძირფესვიანად აღმოვფხვრავთ ზინოვიევის ჯგუფის საზიზღარ ნაძირალებს“.

მაუდის ფაბრიკა.

„საზღვარი არა აქვს ჩვენს აღშფოთებას ლენინგრადის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის საზიზღარი მკვლელობის გამო. ჩვენ გულისტკივილით განვიცდით, — ნათქვამია მაუდის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა მიტინგის (ღამის ცვლის) რეზოლუციაში, — სერგეი მირონისძის დაკარგვას. მაგრამ ბოლშევიკებს არ სჩვევიათ ტირილი. დამწუხრებულნი და აღშფოთებულნი, ჩვენ ერთხელ კიდევ გამოვსთქვამთ ჩვენს სიძულვილს ზინოვიევ-კამენევის ჯგუფის სამგზის საზიზღარი ნაშთებისადმი.

ჩვენი აღშფოთების ხმას ჩვენ ვუერთებთ, ჩვენი ქვეყნის პროლეტართა მილიონების ხმას სასტიკი პასუხი მოვთხოვოთ მუშათა კლასის მტრების ნაშთებს, რომლებმაც მოაწყვეს არალეგალური ტერორისტული „ლენინგრადის ცენტრი“.

ზიზღი თვალთმაქცებს, საზიზღარ, საძაგელ ლაჩრებს“

ავეჯის ფაბრიკა.

ტფილისის ავეჯის ფაბრიკის მუშები უსაზღვროდ აღაშფოთა მუშათა კლასის მტრების საზიზღარმა გამცემლობამ, რომლებსაც არაერთხელ მოუტყუებიათ პარტია და პროლეტარიატი.

— ჩვენ, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მოვითხოვთ საუკეთესო ბოლშევიკის ამხ. კიროვის მკვლელთა სასტიკად დასჯას.

ამხ. კიროვის სიკვდილი კიდევ უფრო შეამჭიდროვებს მშრომელებს კომუნისტური პარტიის და მისი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო. ამხ. კიროვის მოკვლის საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო გავაჩაღებთ ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობისათვის მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრებისათვის.

აბრეშუმის ფაბრიკა.

„ყოფილი ოპოზიციის ბელადები — ზინოვიევი და კამენევი — პასუხისმგებელი არიან ამ საზიზღარი მკვლელობისთვის მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე და დღეს მათი პასუხისმგებლობა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე“ — აცხადებენ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშები.

ფაბრიკის მუშები სიტყვას აძლევენ კომუნისტურ პარტიას და თავის საყვარელ დიდ სტალინს, რომ ისინი კიდევ უფრო მეტად გაამახვილებენ თავის კლასობრივ ალღოს და სიფხიზლეს.

„ჩვენი კლასობრივი მტრები ვერავითარი საზიზღარი გამოსვლებით ვერ შესძლებენ შეარყიონ ჩვენი ღრმა ნდობა კომუნისტური პარტიისადმი და სრული რწმენა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაში.

კოლმეურნეობებისაგან 1935 წლის 1-ლი იანვრამდე მიცემული სასოფლო სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის შესახებ

სსრკ-ის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო განმტკიცების მიზნით, სსრკ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ადგენენ:

1. აღმოუჩინონ სახელმწიფო ფინანსიური დახმარება კოლმეურნეობებს, რისთვისაც მოეხსნას მათ 1933 წლის 1-ლ იანვრამდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანება სასოფლო-სამეურნეო ბანკისადმი, ამ სესხების გადაუხდელი პროცენტებით, საერთო ჯამით 435.639 ათასი მანეთი, რაც რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით განაწილდეს შემდეგნაირად:

(ათას მანეთობით).

სასოფლო-სამეურნეო ბანკის კონტორები:

1.	ჩრდილოეთის	4,435
2.	კარელიის	1.918
3.	ლენინგრადის	9 363
4.	დასავლეთის	5.518
5.	მოსკოვის	16 316
6.	ივანოვოს	3.993
7.	გორკის მხარის	6.066
8.	სვერდლოვსკის	2.506
9.	ჩელაბინსკის	8.863
10.	ობ-ირტიშის	842
11.	ბაშკირეთის	2.870
12.	თათართა რესპუბლიკის	1.981
13.	შუა-ვოლგის	22.459
14.	ვორონეჟის	6.695
15.	კურსკის	2.917
16.	სარატოვის	17.382
	მათ შორის: პოვოლჟიეს გერმანელთა რესპუბლიკა	6.512
17.	სტალინგრადის	9.680
18.	აზოვ-შავი-ზღვის	18,658
19.	ჩრდილოეთ-კავკასიის	13.044
	მათ შორის: დაღესტანის ასსრ	1.505
20.	ყირიმის	11.746
21.	ყაზახსტანის	19.686
	მათ შორის:	
	ალმაატის	4,407
	აქტიუბინსკის	3.181
	ყარაგანდის	3.446
	აღმოსავლეთ-ყაზახსტანის	4.082
	სამხრეთ-ყაზახსტანის	3.100
	დასავლეთ-ყაზახსტანის	1.470
22.	ყარა-ყალპაკის	1.100
23.	ყირგიზეთის	3.927
24.	დასავლეთ-ციმბირის	25.996
25.	აღმოსავლეთ-ციმბირის	4.600
26.	შორეულ-აღმოსავლეთის	27.869
27.	იაკუტიის	600
28.	უკრაინის ს.ს.რ.	80.438
	მათ შორის:	
	ხარკოვის	8,050
	კიევის	17.007
	ჩერნიგოვის	3.147
	ვინიცის	14.858
	დნეპროპეტროვსკის	12.182
	ოდესის	11.261
	დონეცის	5.820
	მოლდავიის ა.ს.ს.რ.	7.118
29.	ბელორუსიის ს.ს.რ.	19.703
30.	ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ.	28.956
	მათ შორის:	
	აზერბეიჯანის	3,460
	საქართველოს	19.947
	სომხეთის	4.849
31.	უზბეკისტანის ს.ს.რ.	24.118
32.	თურქმენისტანის ს.ს.რ.	4.958
33.	ტაჯიკისტანის ს.ს.რ.	8.742
	სულ საბჭოთა კავშირში	415.424
	ყველა ამ სესხზე დარიცხული პროცენტების დავალიანება	20.215
	სულ	435.639

2. წინადადება მიეცეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს თვითეული რესპუბლიკისა, მხარისა და ოლქისათვის აღნიშნული თანხების ფარგლებში დაამტკიცონ სასოფლო-სამეურნეო ბანკის კანტორების წარდგენით, ჩამოსაწერი დავალიანების თანხა თვითეული კოლმეურნეობისათვის.

3. დაევალოს ს.ს.რ. კ-ის ფინსახკომს და სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაამთავრონ აღნიშნული დავალიანების ჩამოწერა თვითეული ცალკე კოლმეურნეობის მიხედვით არა უგვიანეს 1935 წლის 15 თებერვლისა, ამასთან დაუბრუნონ თვითეულ ცალკეულ კოლმეურნეობას მათ მიერ თავისდროზე სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის მიცემული სათანადო გრძელვადიანი ვალდებულებანი.

4. დაევალოს ს.ს.რ. კ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ს.ს.რ. კ-ის მიწსახკომთან და სასოფლო-სამეურნეო ბანკთან ერთად, დაამტკიცოს [illegible] ვადაში ინსტრუქცია ამ დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

1934 წლის 23 დეკემბერი.

მაღალი ჯილდო ამრავლებს ჩვენს ძალებს

საკ. კ.პ (ბ) ც. კ-ს—ამხ. სტალინს.
საბჭოთა კავშირის ცაკ-ს—ამხ. კალინინს.
საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს—ამხ. მოლოტოვს.
მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ორჯონიკიძეს.

ჩვენ, კუზნეცკის სტალინის სახელობის პირველი მეტალურგიული ქარხნის მშენებლები და მუშაკები, ჩვენი პროლეტარული სამშობლოს მიერ დაჯილდოებულნი წარჩინების უმაღლესი ნიშნებით, უდიდეს მადლობას ვუძღვნით პარტიას და მთავრობას იმისათვის, რომ პატივი გვცეს და მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს მუშაობას ციმბირში შავი მეტალურგიის გიგანტის შექმნისათვის.

ჩვენი მეტალურგიული გიგანტის შექმნა და მისი წარმატებითი ათვისება ციმბირის ძნელ პირობებში წარმოადგენს ჩვენი პარტიის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ერთერთ უდიდეს გამარჯვებას. ამ გამარჯვებისათვის ერთგულად და თავგანწირვით იბრძოდა კუზნეცკის ქარხნის მშენებელთა მრავალათასიანი დამკვრელი კოლექტივი. ამ ბრძოლაში მჭიდროდ დაირაზმნენ ჩვენი მშენებლობის და ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსთა მუშაკები, პარტიული და უპარტიო დამკვრელები, რომლებსაც შეერთებული ძალით მიაქვთ იერიში წამოჭრილ სიძნელეთა წინააღმდეგ და ძლევამოსილად ლახავენ მათ.

ჩვენ ვართ ამ შესანიშნავი საბრძოლო კოლექტივის მხოლოდ პატარა ნაწილი. ჩვენს დაჯილდოებას ჩვენ ვთვლით წარჩინების უმაღლეს ნიშნად, რომელიც მიეცა კუზნეცკის სტალინის სახელობის ქარხნის მშენებელთა და მეტალურგთა მთელს ჩვენ დამკვრელ კოლექტივს. ჩვენ მიერ მიღებული მაღალი ჯილდო ამრავლებს ჩვენს ძალებს, სტიმულს გვაძლევს კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით და ენერგიით, ჩვენი ძალების და, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენი სიცოცხლის დაუზოგავად ვიბრძოლოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ორდენოსნები: ბუტენკო, ბარდინი, ხიტაროვი, როგანოვი, კლიუჩკო, კოლესნიკოვა, ალექსანდროვი, როვენსკი, [illegible], ფილიპოვი, გაბდრაფიმოვი, ბიგაჩევი (ადს).

აჭარისტანი ჩაისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციაზე

ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა გეგმების შესრულება 20 დეკემბრისათვის

რაიონები	ნიადაგის მომზადება		ჩაის თესვა		პლანტაციების აღდგენა		კაპიტალური რემონტი		მიმდინარე რემონტი		საზამთრო გადაბარვა		სასუქის შეტანა	
	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პრო.	ჰექტ.	პროც.
ბათომის	95	100	21	140	6	100	46	170,[illegible]	165	165	435	100	303	74,8
ქობულეთის	105	102,5	40	117,6	1	100	50	208,[illegible]	146	104,2	825	10[illegible],4	568	7[illegible],4
გალის	218	53,1	41	46	20	24,5	5	37,1	46	27	814	[illegible]07	41	5,3
ოჩემჩირის	159	66,2	29	72,[illegible]	3	100	34	44,7	33	16	247	46,6	24	[illegible],9
მახარაძის	335	100	41,5	136,[illegible]	40	86,6	190	79,[illegible]	320	53,3	1866	84,4	1185	8
ჩოხატაურის	88	[illegible],7	14,7	100	14	100	40	100	25	100	555	80,4	10[illegible]	16,9
ლანჩხუთის	123	97,8	28	71,7	2	66.6	18	78,2	74	82,2	[illegible]	84,[illegible]	545	54,6
სამტრედიის	12	200	—	—	10	100	8	114,2	16	13[illegible],3	2[illegible]7	96,4	87	67,[illegible]
ქუთაისის	117	86,6	44	110	2,4	80	[illegible]	66,6	23	76,7	9	25,7	—	—
ვანის	132	105,5	25	100	5	166,6	12	150	6	120	150	100	—	—
ტყიბულის	40	100	8	133,3	—	—	—	—	—	—	330	94,[illegible]	—	—
სენაკის	108	60	30	100	2	100	77	96,2	135	90	43[illegible]	10[illegible]	316	94
მარტვილის	237	96,7	40	104,[illegible]	—	—	59	90,7	99	120,7	548	91,3	—	—
ზუგდიდის	150	78,7	30	78,9	5	19,2	109	28[illegible]3	171	34,2	1059	5,6	301	24,8
წალენჯიხის	81	58,[illegible]	48	81,3	—	—	7	0	11	11	1[illegible]5	19,2	—	—
ჩხოროწყუს	205	85,8	35	100	6	100	20	100	45	100	339	84,7	—	—
ხობის	79	75,2	35	100	2	33,3	25	38,4	41	41	2[illegible]	14,6	25	16,6
სულ რესპუბლიკაში	2365	80,3	510,2	90,4	118,4	53.8	753	58,9	1356	5[illegible]	[illegible]000	79,4	3548	37,6

როგორც ზემოხსენებული ცნობებიდან ჩანს, დეკემბრის მეოთხე ხუთდღიურში ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა ზოგიერთ უბანზე გარდატეხა მოხდა. მაგალითად, 15 დეკემბრისათვის ჩაის თესვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 56,5 პროცენტით. 20 დეკემბრისათვის კი — 90.4 პროც. ჩაის პლანტაციების კაპიტალური რემონტი 15 დეკემბრისათვის ჩატარებული იყო 367,5 ჰექტარზე, 20-თვის კი — 753 ჰექტ. დეკემბრის მეოთხე ხუთდღიურში საზამთრო გადაბარვა ჩატარდა 2342.5 ჰექტარზე. მიმდინარე რემონტის გეგმის შესრულება უკანასკნელ ხუთდღიურში უდრის წლიური დავალების 21.3 პროც.

მიუხედავად ამისა, მთელი რიგი საშემოდგომო სამუშაოები ისევ ნელი ტემპით მიდის. ყველაზე უფრო ძლიერ ჩამორჩა სასუქის შეტანა (რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 37.5 პროცენტით). არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არის აგრეთვე პლანტაციების აღდგენა-რემონტის მხრივ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარისტანის პარტორგანიზაციების წარმატება ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების შესრულებაში. ბათომის და ქობულეთის რაიონებს 20 დეკემბრისათვის მთლიანად და გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული ნიადაგის მომზადების, ჩაის თესვის, დაღუპული პლანტაციების აღდგენის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა და საზამთრო გადაბარვის წლიური გეგმები. ზემოხსენებულ რაიონებს ძირითადად დამთავრებული აქვთ სასუქის შეტანაც. წარმატებით ასრულებს წლიურ გეგმებს ხობის რაიონიც.

ჩაის საშემოდგომო სამუშაოები (გარდა სასუქის შეტანისა) უკანასკნელ ხუთდღიურში დამკვრელური ტემპებით გაიშალა ჩოხატაურის რაიონში. მაგალითად, რაიონს 15 დეკემბრისათვის კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებული ჰქონდა 80 პროცენტით. საზამთრო გადაბარვის — 66,9 პროც., 20 დეკემბრისათვის კი — ჩაის პლანტაციების კაპიტალური რემონტი და ჩაის თესვა რაიონმა მთლიანად დაამთავრა.

წინა ხუთდღიურთან შედარებით წინსვლა ეტყობა მახარაძის რაიონსაც. 15 დეკემბრისათვის რაიონს ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებული ჰქონია 88.9 პროც. მეოთხე ხუთდღიურში ეს სამუშაო მთლიანად დაამთავრეს. უკანასკნელ ხუთდღიურში მინერალური სასუქი შეიტანეს 718 ჰექტარზე.

ზოგიერთ სამუშაოს მხრივ ერთგვარ გაუმჯობესებას მიაღწია სენაკის რაიონმაც. 15 დეკემბრისათვის იქ კაპიტალური რემონტი ჩატარებული იყო 17 ჰექტარზე, მიმდინარე რემონტი — 18 ჰექტ. 20 დეკემბრისათვის კი — კაპიტალური რემონტი ჩატარებული იყო 77 ჰექტ. მიმდინარე — 135 ჰექტ.

წალენჯიხის რაიონი ისევ მკვეთრად ჩამორჩება. 20 დეკემბრისათვის იქ არ იყო დაწყებული პლანტაციების აღდგენა და სასუქის შეტანა. მეოთხე ხუთდღიურში ნიადაგი მხოლოდ 2 ჰექტარზე მოამზადეს.

ჩამორჩენილია აგრეთვე გალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის და ხობის რაიონები.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სადაც ჩაის რაიონების პარტორგანიზაციებმა ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი ჩაის სამუშაოთა შესრულებას, იქ გეგმები სრულდება ყოველგვარი „ობიექტური“ პირობებისა და დაბრკოლებების გარეშე.

საჭიროა ჩაის სამუშაოთა ტემპების უფრო მეტად გაძლიერება, სამუშაოთა ხარისხის მტკიცედ დაცვა და მთელი ძალების მობილიზაცია, რათა მიმდინარე წლის გეგმები უთუოდ შესრულდეს 1935 წლის პირველი იანვრისათვის.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. დეპ. სააგენტო უარყოფს

ხარბინიდან გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, თითქოს წითელი არმიის რაზმი გადავიდა მანჯურიის ტერიტორიაზე, ააგო იქ რკინაბეტონის სამხედრო სიმაგრეები და ამის შემდეგ ალყაშემორტყმულ და მოწყვეტილ იქნა საბჭოთა ტერიტორიიდან მანჯურიის ჯარების მიერ, აგრეთვე თითქოს საბჭოთა თვითმფრინავები დაფრინავდენ ამ მოგონილი საბჭოთა სიმაგრის ზევით მანჯურიის ტერიტორიაზე, წარმოადგენს ნამდვილ ჭორს, რაც დამახასიათებელია იმ მეთოდებისათვის. რომელთაც მიმართავენ ზოგიერთი წრეები მანჯურიაში. იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავების მიზნით. (ადს).

იაპონიის ოფიცრის დაკავება მოსაზღვრე სოფელში

ხაბაროვსკი, 23 დეკემბერი. 23 დეკემბერს, 14 საათზე, სოფ. ვერხნე-ნიკოლსკოეში. მდინარე უსურიის ნაპირზე, ქალ. იმანიდან სამხრეთისაკენ 30 კილომეტრის დაშორებით, დაკავებულ იქნა იაპონიის ოფიცერი და მისი მსახური—მანჯურელი ჯარისკაცი ისინი შევიდენ სოფ. ვერხნე-ნიკოლსკოეს კოლმეურნის ამხ. კოვალის სახლში, ითხოვეს დასალევი წყალი, ხოლო შემდეგ წავიდენ სოფლის შუაგულში, სადაც ოფიცერი შეუდგა ადგილმდებარეობის ფოტოაპარატით გადაღებას, ჯარისკაცმა კი მიწაზე ქურქი გაშალა და ქაღალდზე შენიშვნებს აკეთებდა. ოფიცერმა დაკავებისას თავისთავს უწოდა პოდპორუჩიკი ხაიდინი, ხოლო მისმა თანმხლებმა—ამ ოფიცრის მსახური მანჯურელი ჯარისკაცი მამუგეინი.

ოფიცერი შეიარაღებული იყო ხმლით და რევოლვერით, თან ჰქონდა სამარაგო სავაზნე ტყვიებით. მას აღმოაჩნდა ერთი ფოტოგრაფიული აპარატი აფსკების 6 სათადარიგო კოლოფით, საველე ჩანთა, საბჭოთა და ჩინეთის კონდონის ტოპოგრაფიული რუკა იაპონური წარწერებით, უბის წიგნაკი და ბლოკნოტი შენიშვნებით იაპონურ ენაზე და სხვ. ჯარისკაცი შეიარაღებული იყო მხოლოდ ხმლით.

საიდინის განცხადებით, იგი საზღვარზე გადმოვიდა ვითომ 7 წლის ბავშვის საძებნად, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაიქცა ჩინეთის ფანზიდან სოფ. ვერხნე-ნიკოლსკოეს მახლობლად და რომელიც საბჭოთა ტერიტორიაზე იგულებათ, აგრეთვე ორი მანჯურელი გლეხის—კორეელის და ჩინელის—საძებრად, რომლებიც ვითომ ერთი კვირის წინად დააკავა საბჭოთა სანაპირო რაზმმა.

17 საათზე იაპონელი ოფიცერი ავტომობილით მიყვანილ იქნა სანაპირო რაზმში, სადაც მოთავსებულია ცალკე ოთახში. იმყოფება კარგ პირობებში. კვლევა-ძიება წარმოებს.

იაპონია აუქმებს ვაშინგტონის ხელშეკრულებას

ტოკიო, 22 დეკემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხიროტამ ტელეგრაფით წინადადება მისცა იაპონიის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში საიტოს აცნობოს ხელს იაპონიის მიერ ვაშინგტონის შეთანხმების დარღვევა. ნოტაში, რომელიც უახლოეს დღეებში ხელს გადაეცემა, აღნიშნულია მხოლოდ, რომ „ვაშინგტონის შეთანხმების მე-23 მუხლის შეფარდებით, იაპონია აცნობებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თავის სურვილს შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება“. მაშასადამე, შეთანხმება უქმდება 1931 წლის 31 დეკემბრიდან (ადს).

სამხრეთ-სლავიის საკითხზე ჟენევაში გამართული კამათის შედეგების შესახებ

ვენა, 20 დეკემბერი. როგორც ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კანია გუშინ ზედა პალატის საგარეო - პოლიტიკური კომისიის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით სამხრეთ-სლავიის მემორანდუმის გამო ჟენევაში გამართული კამათის შედეგების შესახებ. კანიამ განაცხადა, რომ უნგრეთის მთავრობა ლოიალურად შეასრულებს ერთა ლიგის გადაწყვეტილებებს კეთილსინდისიერად გამოიძიებს ეჭვმიტანილ ადგილობრივ ხელისუფალთა საქმეს და დაუყოვნებლივ მიიღებს ამისათვის საჭირო ზომებს (ადს).

გერმანელი ფრონტელების მსგავსად

პარიზი, 22 დეკემბერი. საფრანგეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ, გერმანიის მაგალითის მიხედვით, პოლონეთის ყოფილი ფრონტელებიც აპირებენ დაიწყონ მოლაპარაკება საფრანგეთის ყოფილ ფრონტელებთან პოლონეთის ფრონტელების მეთაურობა, პილსუდსკის უახლოესმა თანამშრომელმა გენერალმა გორეცკიმ საფრანგეთის ფრონტელებს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც იგი გამოთქვამს მოლაპარაკების დაწყების განზრახვას და უსაყვედურებს საფრანგეთს პოლონეთის პოლიტიკის გაუგებლობას კერძოდ საფრანგეთის პოლიტიკის ფარფატით დამოკიდებულებას პოლონეთ - გერმანიის შეთანხმებისადმი (ადს).

საარის ოლქში ჩავიდა იტალიის ჯარის ნაწილი

პარიზი, 21 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, საარის ოლქში ჩავიდა იტალიის ჯარის ნაწილი 400 კაცის შემადგენლობით ა(დს).

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

ამხ. ტიტე ილარიონის-ძე ლორთქიფანიძის ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობათაგან განთავისუფლების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. ტიტე ილარიონის-ძე ლორთქიფანიძე ა.-კავკასიის ს. ფ. ს. რ.-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ეფენდიევი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1934 წ. 23 დეკემბერი
ქ. ტფილისი.

ამხ. სერგი არსენის-ძე გოგლიძის ა-კ. ს.ფ.ს.რ.-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სერგი არსენის-ძე გოგლიძე ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ეფენდიევი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1934 წ. 23 დეკემბერი.
ქ. ტფილისი.

უთანხმოებანი ერთიანი ფრონტის საკითხზე

პარიზი, 21 დეკემბერი. ციურიხიდან იტყობინებიან, რომ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და შვეიცარიის სოციალისტურ ახალგაზრდობაში იზრდება უთანხმოებანი ერთიანი ფრონტის საკითხზე.

გუშინ სოციალ - დემოკრატიულმა პრესამ გამოაქვეყნა მოწოდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ „მოქმედების ერთიანობა კომუნისტებთან ნიშნავს ახალ გათიშვას და ზიანს მოუტანს მუშათა მოძრაობას“. ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მემარცხენე სოციალისტების მომხრეობა შეუთავსებელია შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობასთან. ოთხი ხელმძღვანელი მემარცხენე სოციალისტი გარიცხეს პარტიიდან.

აღმოსავლეთ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა უკუაგდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ახალი პარტიული პროგრამის პროექტი და გამოიმუშავეს თავისი პროექტი, რომელიც უარყოფს „ბურჟუაზიული შვეიცარიის თავდაცვას“.

შვეიცარიის კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ, რომელიც დაიდო კომპარტიისა და მემარცხენე სოციალისტებს შორის (ადს).

ბრძოლა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის შიგნით

ბერლინი, 21 დეკემბერი. უთანხმოება და შუღლა-შემოხლა ნაციონალ - სოციალისტური პარტიის შიგნით იზრდება. უკმაყოფილო ელემენტებთან ბრძოლის მიზნით. ცოტა ხნის წინათ გამოიცა ნაციონალ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ბრძანება, რომელიც კრძალავს ყოველგვარი პარტიული კრების, აგრეთვე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მომხრე ორგანიზაციათა კრებების მოწვევას.

ახლა გამოქვეყნდა ბრძანება ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიმართ, ხელმოწერილი გესის მიერ (ჰიტლერის მოადგილე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ხაზით). ეს ბრძანება უკრძალავს პარტიის ყველა წევრს ილაპარაკონ შინაპარტიული საქმეების შესახებ პარტიის ფარგლებს გარეთ შემდგარ სხდომებზე. მით უფრო უკრძალავს მათ დაიცვან ისეთი შეხედულებანი, რომლებიც არ ეთანხმებიან ოფიციალურ პარტიულ დებულებებს პრინციპულ საკითხებში.

ამ ცოტა ხნის წინათ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ვესტფალიის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოვიდა გებელსი. მისი სიტყვა გამოაქვეყნა ადგილობრივმა გაზეთმა „დორტმუნდერ ცეიტუნგმა“

„ამჟამად გაჩნდენ, — განაცხადა გებელსმა თავის სიტყვაში,—სხვადასხვა ყოვლისმცოდნენი, რომლებიც ლაპარაკობენ. რომ წინათ უკეთესი მდგომარეობა იყო.. ასეთი ყოვლისმცოდნენი და მოჩურჩულენი ჩვენს პარტიაშიც მოიპოვებიან. როცა ახლა ვინმე მეუბნება რომ საჭიროა კვლავ მოვახდინოთ რევოლუცია, მე შემიძლია ვას მხოლოდ ერთი პასუხი მივცე: „თავს გაუფრთხილდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახრჩობელაზე არ ჩამოგკიდონ.. კრიტიკოსები და მოკინკლავენი—ეს სანეხვის ბუზებია, რომლებიც ერთი დარტყმით უნდა მოვსპოთ“ (ადს)

პარაგვაის კომპარტიის მანიფესტი

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. რევოლუციურმა ჟურნალმა „ლურადორ დელ-კარიბეს“ გამოაქვეყნა პარაგვაის კომპარტიის მანიფესტი ოქტომბრის თარიღით. მანიფესტში აღნიშნულია, რომ პარაგვაის არმიის მე 5 და მე-12 პოლკები კომუნისტური პროპაგანდის გავლენით აჯანყდენ. აჯანყება ჩააქრეს.

მანიფესტი მოუწოდებს ჯარისკაცებს შექმნან კომიტეტები მთელს არმიაში და იბრძოლონ სადღეისო მოთხოვნებისათვის, მჭიდრო კავშირი დაამყარონ პროლეტარიატთან და ინდიელ გლეხთა მასებთან შემდეგ მანიფესტი მოუწოდებს დაუძმობილდენ ბოლივიის ჯარებს, მოაწყონ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები და გადააქციონ იმპერიალისტური ომი მუშურ-გლეხურ რევოლუციად (ადს).

საფრანგეთის პოლიტიკა საზღვაო შეიარაღებათა დარგში

პარიზი, 21 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, საგარეო საქმეთა მინისტრი ლავალი და საზღვაო მინისტრი პიეტრი დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის და საზღვაო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდენ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ საზღვაო შეიარაღებათა დარგში, ორივე მინისტრის გამოსვლიდან ჩანს, რომ საფრანგეთი დადებითად ეპყრობა საზღვაო შეთანხმების დადებას, მაგრამ ეს შეთანხმება უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი ნაწილი განიარაღების საყოველთაო კონვენციისა, რომლის მომხრეც იგი არის (ადს).

სიტროენის საავტომობილო ფირმის გაკოტრება

პარიზი, 21 დეკემბერი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭო იხილავდა სიტროენის საავტომობილო ფირმის გაკოტრებასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობას. სიტროენმა წარადგინა თავის საწარმოთა ბალანსი. კომერციულმა ტრიბუნალმა გადაწყვიტა მოახდინოს გაკოტრებულ მოვალედ აღიარებული სიტროენის ქონების ლიკვიდაცია (ადს).



ბათომში შენდება ჩაის მანქანათმშენებლობის ქარხანა. სურათზე: ქარხნის პროექტი

— პროპაგანდისტის დასახმარებლად —

ანტისაბჭოთა ჯგუფის ახალგაზრდა ყლორტები

ყოველთვის, როცა პარტიის წინააღმდეგ გამოდიოდა ესა თუ ის ოპოზიცია, იგი მუდამ ცდილობდა დაეპირისპირებია კომკავშირი პარტიისათვის, გამოეყენებია ახალგაზრდობა თავის ანტიპარტიულ საქმეებში. ასე იქცეოდა ტროცკისტული ოპოზიცია, ზინოვიევის ოპოზიცია. ასევე იქცეოდენ მემარჯვენე ოპორტუნისტებიც.

ბევრ ახალგაზრდა მუშას და კოლმეურნეს, ბევრ კომკავშირელს არ ახსოვს, თუ რა გააფთრებით გაჩაღდა ბრძოლა ახალგაზრდობისათვის ზინოვიევის ოპოზიციის წარმოშობის დღეებში.

დისკუსია, რომელიც იმ დროს წარმოებდა პარტიაში, აღელვებდა კომკავშირს და მას არც შეეძლო არ აღელვებია იგი, იმიტომ რომ ეხებოდა ახალგაზრდობის აღზრდის ძირითად პრობლემებს. სოციალიზმის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი მრეწველობის ხასიათი, პარტიის ხაზი სოფლად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის რაობის შეფასება — ყველა ეს საკითხი ძლიერ აინტერესებდა ახალგაზრდობას.

ზინოვიევის ოპოზიცია ცდილობდა მოეწამლა კომკავშირი ჩვენი მომავლის, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის უიმედობის შხამით. და კომკავშირის უარესი წარმომადგენლები, რომლებიც უფრო გვიან ფრაქციული ბრძოლის ლოგიკით სულ უფრო და უფრო ძირს დაექანენ და ნაძირალებად გადაიქცენ, მან გახადა მტრული კლასობრივი ელემენტების საყვირად. რუმიანცევი, კოტოლინოვი, შატსკი და სხვები, რომლებსაც აღფრთოვანებდენ და აქეზებდენ ზინოვიევშჩინის ზედაფენები, არ თაკილობდენ რა არავითარ საშუალებებს, ცდილობდენ დაეპირისპირებიათ თავისი თავი პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისათვის, მთელი მილიონნახევრიანი კომკავშირისათვის. პარტიის მაშინდელი ოპოზიციური ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის — ზინოვიევის, ევდოკიმოვის, ზალუცკის და სხვების თანხმობით, ისინი ცდილობდენ გადაექციათ ლენინგრადის კონფერენცია კომკავშირის სრულიად რუსეთის ყრილობად.

მათ სჭირდებოდათ სრულიად რუსეთის ტრიბუნა, რათა გააფთრებული იერიში მიეტანათ პარტიაზე, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტზე. რა სურდათ მათ, საითკენ მოუწოდებდინ ისინი ახალგაზრდობას.

კომკავშირული ოპოზიცია ჩაებღაუჭა და მან მთლიანად დაუჭირა მხარი ზინოვიევის თეზისს — რწმენის უქონლობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისადმი. მაშინვე, 1926 წელს, ამხ. სტალინი, ახასიათებდა რა ზინოვიევის ოპოზიციის შეცდომათა რაობას, ამბობდა: „მე ვფიქრობ, რომ რწმენის უქონლობა სოსოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი წარმოადგენს ახალი ოპოზიციის ძირითად შეცდომას. ჩემის აზრით, ეს შეცდომა წარმოადგენს ძირითად შეცდომას იმიტომ, რომ მისგან გამომდინარეობენ ახალი ოპოზიციის ყველა დანარჩენი შეცდომები... ახალი ეკონომიური პოლიტიკის, სახელმწიფო კაპიტალიზმის, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ხასიათის, პროლეტარიატის დიქტატურის დროს კოოპერაციის როლი, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების, საშუალო გლეხობის როლისა და ხვედრითი წონის საკითხებზე...

რწმენის უქონლობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისადმი ასაზრდოვებდა კომკავშირულ ოპოზიციასაც. არ სწამდათ რა მუშათა კლასის ძალა, მისი უნარი სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის მილიონიანი მასების ჩაბმისა, მათ შეეშინდათ სიძნელეების, ქედი მოიხარეს მათ წინაშე და აქეთ-იქეთ ეხეთქებოდენ. ისინი ხან მოითხოვდენ გლეხთა ახალგაზრდობიდან ორი მილიონის ჩაბმას კომკავშირში ერთი წლის განმავლობაში, ხან კი „მუჟიკური სტიქიის“ შიშით ეხეთქებოდენ მეორე მხარეს და მოითხოვენ აგვეგო ჯებირი — სრულიად არ მიგვეღო კომკავშირში საშუალო გლეხთა ახალგაზრდობა. ამ ახალგაზრდობისათვის ისინი მოითხოვდენ მოგვეწყო უპარტიო საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის სადელეგატო კრებები მუდმივი შემადგენლობით.

რას ნიშნავდა ეს? ოპოზიცია ცდილობდა გამოეყო კომკავშირიდან საშუალო გლეხთა ახალგაზრდობა. ცდილობდა თავიდან მოეშორებია მისი აღზრდა და ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. „...უეჭველია, —წერდა ამხანაგი სტალინი პარტიის მე-14 ყრილობის წინ წერილში „კომკავშირის ამოცანების შესახებ“, რომ საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის განსაკუთრებული სადელეგატო კრებები კომკავშირთან გლეხობის ყველა ჯგუფის გამოცოცხლების ახლანდელ პირობებში აუცილებლად გადაიქცევიან საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის განსაკუთრებულ კავშირად. ამასთან ეს განსაკუთრებული კავშირი, აუცილებლობის გამო, იძულებული გახდება დაუპირისპიროს თავისი თავი ახალგაზრდობის არსებულ კავშირს და მის ხელმძღვანელს —რ.კ.პ. თავისკენ დაუწყებს წევას კომკავშირის გლეხურ ნაწილს და ამგვარად შექმნის კომკავშირის ორ კავშირად — მუშათა ახალგაზრდობის კავშირად და გლეხთა ახალგაზრდობის კავშირად დაყოფის საფრთხეს“.

ლენინგრადის კომკავშირული ოპოზიციის წარმომადგენლები, ეს ახალგაზრდა „ლიკვიდატორები“ უსტრიალოვის მანდატით გაჰკიოდენ, რომ ხდება კომკავშირის გადაგვარება. რომ მას ახრჩობს წვრილბურჟუაზიული სტიქია. თავის გადაგვარებას რაც უკვე მაშინ დაისახა, ზინოვიევის ოპოზიციის ეს ახალგაზრდა ყლორტები, რომლებიც ახლა გადაიქცენ პირწავარდნილ ფაშისტურ ბანდიტებად, ასაღებდენ მთელი კავშირის გადაგვარებად.

ოპოზიცია კომკავშირს უწოდებდა უძლურს, ავადმყოფს, რღვევის პროცესში მყოფ ორგანიზაციას, იგი ცდილობდა დაეშინებინა პარტია, წინასწარმეტყველობდა, რომ შემდეგ საქმე უფრო უარესად წავა, „სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ კომკავშირი არ გადაიქცეს რახიტიან ბავშვად“.

ჩვენმა ცხოვრებამ, ნათელმა სოციალისტურმა სინამდვილემ გააბათილა ოპოზიციის, პარტიისა და მუშათა კლასის მტრების ყველა ანგარიში და პროგნოზები. ორი ხუთწლედის მოკაშკაშე სინათლის წინაშე. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ხარაჩოებზე, მაგნიტკის და კუზნეცკის ბრძმედებზე, დნეპრის კაშხალზე, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მშრომელ ახალგაზრდობის თავდადებული ბრძოლის წინაშე რა უბადრუკალ და საზიზღრად გამოიყურება ოპოზიციის ცილისწამება კომკავშირის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მიმართ.

პარტიის მე-14 ყრილობაზე დამარცხებულნი, ეს წვრილბურჟუაზიული კაპიტულანტები არ ცხრებოდენ. აღიარეს რა სიტყვით პარტიის ხაზი, ისინი სხვა მეთოდებით განაგრძობდენ თავის ანტიპარტიულ დამარღვეველ მუშაობას. წინათ, როცა მათ სჭირდებოდათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გამოსვლა, ისინი გაჰკიოდენ. რომ კომკავშირი არ შეიძლება იყოს ნეიტრალური, და თავის გარშემო აერთიანებდენ ყველას, ვინც უკმაყოფილო იყო პროლეტარული დისციპლინით, ყველა მონარქისტო, ნახევრადგაბრწნილ, ელემენტებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ იგემეს დამარცხება პარტიის მე-14 ყრილობაზე და ლენინური კომკავშირის რიგებში, აღმოჩნდენ რა იზოლირებულ ჯგუფად, ისინი ცდილობდენ ზეგავლენა მოეხდინათ მუშათა ახალგაზრდობაზე. ლენინგრადში ისინი უკრძალავდენ მუშა ახალგაზრდებს განეხილათ და შეესწავლათ პარტიის მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებანი, ისინი აშინებდენ ახალგაზრდობას, უკრძალავდენ კომკავშირელებს პარტიული ლიტერატურის გავრცელებას.

მაგრამ ვერც ამ მხრივ შესძლეს მათ თავისი გაეტანათ. ლენინგრადის ახალგაზრდობა მალე მიხვდა ანტიპარტიული, ანტიპროლეტარული ხელმძღვანელების ოინებს და სწრაფად ჩამოაშორა ისინი ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ ისინი, საბოლოოდ დამარცხებულნი, თორმალურად დაემორჩილენ პარტიულ დისციპლინას, ხოლო არსებითად განაგრძობდენ თავის ანტიპარტიულ საქმიანობას, თავის დამარღვეველ მუშაობას. დროებით გავჩუმდეთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, — ასეთი იყო მათი დევიზი.

და მაშინ ზინოვიევშჩინის ეს საზიზღარი ახალგაზრდა ყლორტები— რუმიანცევი, კოტოლინოვი, შატსკი და სხვები დაადგენ თვალთმაქცობის, პარტიის მოტყუების გზას, [illegible], ჯაშუშური მუშაობის გზას. ყველა ამ წლების განმავლობაში, სერგეი მირონის-ძე კიროვის პირველ დეკემბერს ვერაგულად მოკვლის მომენტამდე, დამპალ გადაგვარებულთა ეს ბანდა, რომელიც ინტერვენციაზე ოცნებობდა, მორალურად და პოლიტიკურად სულ უფრო და უფრო ქვემოთ მიექანებოდა. ჩუმათ იმზადებოდა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ბელადების მუხანათური მკვლელობისათვის.

ეწეოდენ რა თვალთმაქცობას, მთელი ძალებით ცდილობდენ რა პარტიაში დარჩენას, მათ თეორიული მუშაობის საბაბით მოიკალათეს კომკავშირის ლენინგრადის კომიტეტთან მათ მიერ მოწყობილ „ძველ კომკავშირელთა“ სათვისტომოში. უბადრუკმა, საზიზღარმა ნამსხვრევებმა, რომლებიც მორალურად სულ უფრო და უფრო იხრწნებოდენ და კარგავდენ ნიადაგს, მიმართეს კაპიტალიზმის ყველა ნაძირალის უკანასკნელ ბინძურ საშუალებას — ტერორიზმს. მათ მიჰყიდეს თავი იმათ, ვისაც ზოოლოგიური სიძულვილით სძულს ჩვენი სოციალისტური სამშობლო. ისინი გადაიქცენ მომაკვდავი კაპიტალისტური წყობილების მოსყიდულ ლაქიებად.

ამ ანტიპარტიული ჯგუფის წრიდან გამოვიდა საზიზღარი მკვლელი ნიკოლაევი. დიდხანს იმზადებოდა რა ამისთვის, მან წარმართა ნიკოლაევის ხელი იმისკენ, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უშიშარ და გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ, ვინც დაუღალავად რაზმავდა ლენინგრადის ორგანიზაციას პარტიის გენერალური ხაზის გარშემო.

ა. ლეონტიევი

სოციალიზმის დროს წარმოების და მოხმარების შესახებ

სოციალიზმი სპობს წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარების შორის, რაც კაპიტალისტურ წყობილებას ახასიათებს. კაპიტალიზმის დროს წარმოებას მისდევენ მოგების მიღების მიზნით. ის, რომ შრომის პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებანი, გარდაუვალ ბოროტებას წარმოადგენს კაპიტალისტის თვალში. ადამიანის უპირველეს საარსებო საჭიროებას — შრომას — კაპიტალიზმი აქცევს აუტანელ ტვირთად. ადამიანის ბუნებრივი ფუნქცია — მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება — კაპიტალიზმს დაყავს მუშა ძალის რეპროდუქციის უბრალო მომენტამდე. მანქანის დაზეთვა და მუშის გამოკვება ერთ დონეზეა დაყენებული.

წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის არ არის კაპიტალიზმის გამოგონება. მას ადგილი ჰქონდა წინაკაპიტალისტურ საზოგადოებაშიც. მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად დაიყო, გამოჩნდენ ისეთი პირთა კატეგორიები, რომლებიც, ადამ სმიტის მეტყველი გამოთქმით, არ სთესენ, მაგრამ მკიან. არამწარმოებელი კლასები ითქვეფენ საზოგადოებრივი პროდუქტის უდიდეს ნაწილს. მშრომელი მასების — მონების, ყმების — მოხმარება დაყვანილია უაღრესად დაბალ დონემდე.

ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის წარმოადგენს კაპიტალისტური წყობილების ძირითადი წინააღმდეგობის— წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული წინააღმდეგობის ერთერთ გამოხატულებას. მთელი საზოგადოების შრომის პროდუქტი გადადის ერთი მუჭა კაპიტალისტების უსაზღვრო განკარგულებაში. საზოგადოებრივი მოხმარება წარმოადგენს საზოგადოების არსებობის პირობას. ამავე დროს კაპიტალისტური წარმოების კაპიტნებისათვის საზოგადოების მოხმარება არის მხოლოდ საშუალება მიზნის მისაღწევად. მიზანს კი წარმოადგენს მაქსიმალური მოგება: ამიტომ კაპიტალიზმს, ერთის მხრით, ახასიათებს ტენდენცია წარმოების უსაზღვროდ გაფართოებისაკენ. მეორე მხრით, კაპიტალიზმი პროლეტარულ მასებს უქმნის მოხმარების ღატაკურ დონეს.

კრიზისი მკაფიოდ აშუქებს იმ მომენტს, როცა კაპიტალიზმი თავის განვითარებაში აწყდება ჩარჩოებს, რომლებიც შექმნილია მისი საკუთარი წინააღმდეგობებით. საქონლის ჭარბი წარმოება უქადის მშრომელებს შიმშილს და გაჭირვებას. გულუბრყვილო კრიტიკოსებს კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე ეს ეჩვენებათ უაზრო პარადოქსად, ბოროტ დაცინვად, საბედისწერო გაუგებრობად. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ჩამარხულია თვით ცხოვრებაში. იგი მოისპობა მხოლოდ კაპიტალისტური მონობის დაღუპვასთან ერთად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად.

სოციალიზმი სპობს კედელს წარმოებასა და მოხმარებას შორის, რომელიც აღმართა კაპიტალისტურმა საკუთრებამ და ექსპლოატაციამ. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია ნიშნავს პარაზიტული მოხმარების მოსპობას. კაცობრიობის ისტორიაში პირველად იქმნება პირობები წარმოების და მოხმარების ჰარმონიულად შეთავსებისათვის. უკლასო სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს მშრომელთა საწარმოო - სამომხმარებლო კოლექტივს.

II

სოციალიზმისადმი ცალმხრივ-მომხმარებლურ მიდგომას არავითარი საერთო არა აქვს ჩვენი პარტიის პოლიტიკასთან. ვიწრო - მომხმარებლური თვალსაზრისი ჩვეულებრივ ეგუება სოციალიზმის გათანაბრებით გაგებას და წარმოადგენს მუშათა კლასის მტრების განუშორებელ შირმას. სამოქალაქო ომის წლებში მენშევიკები ცდილობდენ მუშათა ცალკეული ჯგუფების ვიწრო საამქრო ინტერესები დაეპირისპირებინათ მთლიანად მუშათა კლასის დიდი ისტორიული ამოცანებისათვის — რევოლუციის შეიარაღებული დაცვისათვის. რეკონსტრუქტიულ პერიოდში ტროცკისტები და მემარჯვენე ოპორტუნისტები ცდილობდენ დღევანდელი დღის ვიწრო - პარციული ინტერესები დაეპირისპირებინათ მთელი ფრონტით გაშლილი სოციალისტური შეტევის დიადი ისტორიული ამოცანებისათვის.

პარტიამ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწია კულაკის ამყოლებს, რომლებმაც 1928 წელს გადმოისროლეს კაპიტულანტური ლოზუნგი: განა სულ ერთი არ არის, ვისი პურიც უნდა ვჭამოთ; კოლმეურნეობის თუ კულაკის. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში სრულიადაც არ არის სულ ერთი, თუ ვის ხელში იქნება პური. პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით გაანადგურა კულაკობის ოპორტუნისტული აგენტურა და წარმატებით განახორციელა სოფლის მეურნეობის რადიკალურად გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე.

გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. სოციალიზმმა გამოიყვანა მიწათმოქმედება მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების ფართო გზაზე. იმისათვის. რომ უზრუნველგვეყო მუშათა კლასის მომარაგება სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფი ზრდისაგან მიწათმოქმედების ჩამორჩენის პირობებში, 1928—1929 წლებში შემოღებულ იქნა პურის ბარათები. ამჟამად სოციალისტური მიწათმოქმედების წარმატებათა საფუძველზე პარტია აუქმებს პურის და ზოგიერთი სხვა პროდუქტების საბარათო სისტემას.

სოციალიზმი აყენებს გიგანტურ სამშენებლო ამოცანებს. იგი გულისხმობს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის და კულტურული ყოფაცხოვრების განუწყვეტლივ გაუმჯობესებას. ხოლო ამის გაკეთება წარმოუდგენელია ქვეყნის საწარმოო აპარატის რადიკალური რეკონსტრუქციის გარეშე.

სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩამორჩენილ, ღატაკ, წვრილ - [illegible] ქვეყანაში. გიგანტურმა მშენებლობამ რადიკალურად შეუცვალა სახე ჩვენს ქვეყანას. მოხდა საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. მოისპო დამოკიდებულება კაპიტალიზმის უფრო მოწინავე ქვეყნებისაგან. თუ მეფის რუსეთში ელნათურებსაც კი ვერ ამზადებდენ, ახლა საბჭოთა კავშირის სოციალისტურ საწარმოებში მზადდება უაღრესად რთული მანქანები. ისეთი დიდი ბურჟუაზიული მოღვაწის სიტყვით, როგორიც ლოიდ - ჯორჯია, საბჭოთა კავშირს გამოესხა ფოლადის ფრთები. უმაგალითო კულტურულმა რევოლუციამ მოიცვა ათეული მილიონი ადამიანები. ფესვები გამოითხარა სილატაკეს, გადადგმულ იქნა გადამწყვეტი ნაბიჯები ქალაქის და სოფლის მშრომელთა შეძლებული ცხოვრებისაკენ.

ჩვენს საბოლოო მიზანს წარმოადგენს კომუნიზმი, როცა, მარქსის სიტყვით, „კოლექტიური სიმდიდრის ყველა წყარო სრული ნაკადით გადმოდინდება“. ამ მიზანს, რომ მივაღწიოთ, ამისთვის საჭიროა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარება, ისეთი განვითარება, რომელთან შედარებითაც კაპიტალიზმის ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნების ახლანდელი დონე უმნიშვნელოდ და უბადრუკად მოგვეჩვენება.

III

თუ სოციალიზმისათვის უცხოა ვიწრო - მომხმარებლური მიდგომა, მისთვის აგრეთვე უცხოა (ცალმხრივი) საწარმოო თვალსაზრისი. წარმოება წარმოების გულისათვის, დაგროვება დაგროვების გულისათვის — ეს სიტყვები არ არის ამოღებული სოციალისტური არსენალიდან. ეს არის ფორმულა, რომელშიაც ეკონომისტ-კლასიკოსებმა გამოხატეს კაპიტალიზმის ისტორიული მოწოდება. კაპიტალიზმის მისია—საწარმოო ძალთა განვითარებაშია, რაც იწვევს მთელი დოვლათის შემქმნელთა მდგომარეობის გაუარესებას. სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარება თავისუფალია ამ თვისებებისაგან. იგი ხდება არა „მწარმოებლის საწინააღმდეგოდ“, არამედ „მწარმოებლისათვის“; („მწარმოებლის“ ქვეშ, რასაკვირველია, იგულისხმება სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა მთელი კოლექტივი).

ბურჟუაზიულ პრესაში ხშირად ვხვდებით მსჯელობას იმის შესახებ. რომ საბჭოთა კავშირს, რომელმაც გიგანტურად გააფართოვა თავისი საწარმოების საწარმოო სიმძლავრე, საშუალება მიეცემა აავსოს მსოფლიო ბაზარი თავისი საქონლით. ასეთი მსჯელობის მიზანია ისეთი მკითხველის ადვილად დაჯერება, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა პრინციპული განსხვავება არსებობს მეურნეობის კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის.

კაპიტალისტური ქვეყნები შინაგანი ბაზრის დავიწროების გამო იძულებული არიან საგარეო ბაზარზე გაიტანონ თავისი პროდუქციის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი. სოციალიზმის დროს წარმოუდგენელია ისეთი ზედმეტი საქონელი, რომლის გამოყენებაც შეუძლებელი იყოს ქვეყნის შიგნით. სოციალიზმის დროს ქვეყნის საწარმოო უნარიანობას ფეხდაფეხ მისდევს მშრომელი მოსახლეობის სამომხმარებლო უნარიც.

IV

თუ წარმოება წარმოადგენს მთლიანად წარმოების მთელი საზოგადოებრივი პროცესის წამყვან და განმსაზღვრელ მომენტს, მაშინ მოხმარება წარმოადგენს ამ პროცესის დამამთავრებელ აქტს. „მოხმარება, სპობს რა პროდუქტს, ამით ამთავრებს მას“. „პროდუქტი საბოლოოდ მთავრდება მოხმარებაში“. (მარქსი).

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საქმე წმინდა მექანიკურად, თითქოს ადამიანთა დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებების ჯამი პირდაპირ უდრის მოხმარების დამზადებულ საშუალებათა ჯამს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ საშუალედო პროცესების ორგანიზაციას, რომლებიც იმყოფებიან წარმოებასა და მოხმარებას შორის, აგრეთვე თვით მოხმარების ორგანიზაციას.

შუა რგოლებს წარმოებასა და მოხმარებას შორის წარმოადგენენ საქონელბრუნვა და ტრანსპორტი. თავის მოხსენებაში პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ნათლად დაუსახა ამ ორი დარგის როლი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისათვის. „ბოლოს, დროა შევიგნოთ, რომ საბოლოო ანგარიშში საქონელი მზადდება არა წარმოებისათვის, არამედ მოხმარებისათვის. ჩვენში იყო ისეთი შემთხვევები, როცა საქონელი და პროდუქტები საკმაოდ გვქონდა, მაგრამ ისინი არ მიდიოდენ მომხმარებლამდე, არამედ წლობით სეირნობდენ ეგრეთწოდებულ საქონელგამტარი ქსელის ხვეულებში — მომხმარებლის გვერდის ავლით. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში მრეწველობა და სოფლის მეურნეობა კარგავდენ ყოველგვარ სტიმულს წარმოების გაფართოებისაკენ. საქონელგამტარ ქსელში ჩაწოლილი იყო საქონელი, ხოლო მუშები და გლეხები რჩებოდენ უსაქონლოდ და უპროდუქტოდ“

სამეურნეო ცხოვრების მიმდინარეობა, როგორც მარქსი ამბობდა, გულისხმობს „ნივთიერებათა“ განუწყვეტელ „გაცვლა - გამოცვლას“. „ნივთიერებათა ეს გაცვლა - გამოცვლა“ მოითხოვს, რომ იყოს „გაშლილი საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის“. (სტალინი). გაშლილი საბჭოთა ვაჭრობა წარმოადგენს მთლიანად მთელი სამეურნეო ცხოვრების შემადგენელ ნაწილს. არა ნაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრანსპორტი. ტვირთების წესიერად გადასროლა ერთი რაიონიდან მეორეში, წარმოების ადგილებიდან მოხმარების ადგილებში წარმოადგენს სოციალიზმის იმ გიგანტური ქვეყნის მასშტაბებში „ნივთიერებათა გაცვლა - გამოცვლის“ აუცილებელ პირობას, რომელსაც უჭირავს დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი. „საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა დაიფაროს სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, დუქნების მჭიდრო ქსელით. საჭიროა, რომ ამ ბაზების, მაღაზიების, დუქნების არხებით შეუჩერებლივ მიდიოდეს საქონელი წარმოების ადგილებიდან მომხმარებლისაკენ“, — ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის მე-17 ყრილობაზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოასწავებენ შემდგომ გიგანტურ ნაბიჯს საქონელბრუნვის განვითარებაში. საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში. პურის საბარათო სისტემის გაუქმებით „საფუძველი ჩაეყარა საბარათო სისტემის გაუქმებას ყველა პროდუქტებსა და საქონელზე“. (მოლოტოვი). საქონლის უდიდესი მასა, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ბარათებით ნაწილდებოდა, გადავა საბჭოთა ვაჭრობის არხებში. პროლეტარულ სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი საქონლის მასების ზრდა და საქონელბრუნვის განვითარება ხსნიან გზას საბჭოთა მანეთის შემდგომი განმტკიცებისაკენ. მშრომელთა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება მტკიცე ნიადაგზე დგება. ბარათების მიხედვით განაწილებიდან საბჭოთა საქონელბრუნვაზე გადასვლა გამოიწვევს მომხმარებლის მოთხოვნილებათა ზრდას. საქონელგამტარი ქსელის წინაშე ახალი ძალით დგება კულტურული ვაჭრობის, მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებათა კულტურული მომსახურების ამოცანა.

სოციალიზმის მტრები ათეული წლების განმავლობაში ღვრიდენ ნიანგის ცრემლებს იმის გამო. რომ თითქოს „თავისუფალი მოხმარება“. შეუფერებელია სოციალიზმისთვის. რაკი წარმოება იქნება გეგმიანი, ამბობდენ ისინი, მოხმარება აუცილებლად უნდა ატარებდეს არათავისუფალ ხასიათს; ვინაიდან, თუ ყველა ამოირჩევს თავისთვის მოხმარების იმ საგნებს, რომლებიც ჰსურს, მაშინ როგორ უნდა უზრუნველვყოთ წარმოების გეგმაშეწონილი ხასიათი? ამ არგუმენტის უნიადაგობა უკვე დიდიხანია თეორიულად იქნა გამოაშკარავებული სოციალისტების მიერ. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება პრაქტიკულად გვიჩვენებს ასეთი მსჯელობის უაზრობას. ჩვენ ყოველდღიურად ვიბრძვით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისა და მომხმარებლის უკეთ მომსახურებისათვის. ამავე დროს ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა ინდივიდუალური გემოვნება და მოთხოვნილებანი.

განა დამახასიათებელი არ არის ის, რომ საბჭოთა კავშირში პურის ბარათები უქმდება სწორედ იმ დროს, როცა გერმანიის ფაშიზმის გაკოტრებული მესვეურები ატარებენ მთელ რიგ დრაკონისებურ ღონისძიებებს ფართო მასების მოხმარების შეზღუდვისათვის, როცა მთელი რიგი პროდუქტების მოხმარება გერმანიაში ფაქტიურად რაციონირებულია (მათი გაცემა ასე თუ ისე ხდება ბარათების მიხედვით), როცა ფართო მოხმარების უმნიშვნელოვანეს საგნებს (მატყლი, ბამბა და სხვ.) ცვლიან უვარგისი სუროგატებით, (ცელსტრა, ვისტრა და სხვ.)?

V

პროდუქტების დამზადებული მასის სასარგებლო ეფექტი დიდადაა დამოკიდებული მოხმარების ხასიათისაგანაც. საქონელი უნდა იყოს არა მარტო კულტურულად გამზადებული, არა მარტო კულტურულად მიტანილი მომხმარებლისათვის, არამედ კულტურულად მოხმარებულიც. ფეხსაცმლის [illegible], ტანისამოსის შეკეთება, წიგნის ჩასმა ყდაში, საცხოვრებელი ბინის კულტურულად შენახვა — ყოველივე ეს პრაქტიკულად ადიდებს სამომხმარებლო ფონდს, რომელიც მოიპოვება მშრომელთა განკარგულებაში. ასეთი „წვრილმანებისადმი“ ყურადღება წარმოადგენს მუშათა და კოლმეურნეთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის ბრძოლის შემადგენელ ნაწილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური რეალიზმის თეორიის ბრწყინვალე გამარჯვება

● კინო-სურათ „ჩაპაევის" განხილვა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ●

18 დეკემბერს, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ინიციატივით, ამავე ინსტიტუტში, მოეწყო კინო-სურათ „ჩაპაევის" განხილვა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა პარტიულმა, საბჭოთა, ხელოვნების, მეცნიერების, მუშა ებმა და მუშათა და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კრება გახსნა მარქს-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. ზ. ბრომიკერმა, რომელმაც სთქვა.

— ჩვენი ინსტიტუტის მიერ ღირსშესანიშნავისი ფილმზე „ჩაპაევის" კოლექტიური დასწრების შემდეგ ინსტიტუტმა გადასწყვიტა საზოგადოებრივად განიხილოს ეს ფილმი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურებიან სხვა ორგანიზაციებიც.

ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ამხ. გრ. მუშიშვილს.

ამხ. გრ. მუშიშვილის მოხსენება

(შემოკლებული სტენოგრამა)

ფილმი „ჩაპაევი" ჩვენი საბჭოთა კინემატოგრაფიის მართლაც დიდი გამარჯვებაა, ეს არის პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დიდი გამარჯვება კულტურული მშენებლობის ფრონტზე. ჩვენ ვიცნობთ ფილმებს, აღებულს სამოქალაქო ომიდან, მუშების ცხოვრებიდან, მუშების ბრძოლიდან პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის, გაშლილი სოციალისტური მშენებლობისათვის; მაგრამ ფილმი „ჩაპაევი" თავისი ძალით და დამაჯერებლობით თავისი იდეური სწრაფვით და ტექნიკური მიღწევებით აღემატება ყველა აქამდე არსებულ ფილმს. ფილმ „ჩაპაევის" უპირატესობა ყველა დანარჩენი ფილმის წინაშე, ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფილმების წინაშეც კი, როგორიცაა „ჯავშნოსანი პოტიომკინი", „არსენალი", „ტყის თქმულება", რომ აღარაფერი ვთქვათ „წითელ ეშმაკუნებზე", მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ აქ გვაქვს სრულიად თავისებური მიდგომა როგორც თემისადმი, ისე საქტიორო მასალისადმი— თავისებური მიდგომა სამოქალაქო ომის და პროლეტარული რევოლუციის თემატიკისადმი.

რაში მდგომარეობს „ჩაპაევის" ძალა? რაში მდგომარეობს „ჩაპაევის" გამარჯვების საიდუმლოება? პირველი თეზისი, რომელიც მე მინდა წამოვაყენო, როცა ვლაპარაკობ ფილმი „ჩაპაევის" გამარჯვებაზე, ეს არის ის, რომ ჩვენ აქ გვაქვს სოციალისტური რეალიზმის მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამარჯვება. ეს არის ის ძირითადი, რაც უზრუნველყოფს ჩვენი საბჭოთა კინემატოგრაფიის ასეთ უდიდეს უმაღლეს წარმატებას.

რა არის სოციალისტური რეალიზმი და როგორ უნდა გვესმოდეს იგი? სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, ჩემი აზრით, წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენებას ლიტერატურის და კინოხელოვნების დარგში. სოციალისტური რეალიზმი — ეს არის პირველ ყოვლისა რეალიზმი, ე. ი. არსებული სინამდვილის ასახვა ისეთი სახით, როგორც იგი ნამდვილად არის ამ მხრივ ძირითადია ისტორიული სიმართლე. ისტორიული სიმართლის გახსნა, ისტორიული სიმართლის სწორად დადგენა — ეს არის ერთერთი ძირითადი, რასაც ჩვენ ვხედავთ სოციალისტურ რეალიზმში მაგრამ მხოლოდ ისტორიული სიმართლით დაკმაყოფილება არ იქნებოდა სწორი, რადგან სინამდვილის მხოლოდ როგორიც იგი არის, ეს იქნებოდა უბრალო ობიექტივიზმი, ნატურალიზმი, ხოლო სოციალისტური რეალიზმის შეზღუდვა ნატურალიზმით შეუძლებელია. სოციალისტური რეალიზმი არ არის ნატურალიზმი, არ არის, ობიექტური სინამდვილის უბრალო ასახვა. სოციალისტური რეალიზმი შეიცავს რევოლუციურ რომანტიკას. რევოლუციური რომანტიზმი არ არის დამოუკიდებელი თეორია. სწორედ სოციალისტური რეალიზმი შეიცავს რევოლუციურ რომანტიკას. რაში მდგომარეობს იგი? იმაში, რომ სოციალისტური რეალიზმი ასახავს არა მარტო ისტორიულ სიმართლეს, არამარტო არსებულ ობიექტურ სინამდვილეს, არამედ ამ ობიექტურის სინამდვილის იქით სოციალისტური რეალიზმი ასახავს შემდგომი განვითარების გზებს და ტენდენციებს. ამიტომ ისტორიული სიმართლის ასახვა ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. საკითხის მეორე არსებითი მხარეა ამ ისტორიული სიმართლის იქით მომავლის დანახვა, ისტორიის შემდგომი განვითარების დანახვა. სწორედ ამაში მდგომარეობს სოციალისტური რეალიზმის დედაარსი.

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ მატერიალისტური დიალექტიკის ერთერთი მხარეა არსებულის განხილვა მისი მოძრაობის თვალსაზრისით, წარსულის, აწმყოს და მომავლის თვალსაზრისით, ყველა ამ სამი მომენტის ურთიერთ დაკავშირების თვალსაზრისით, ამ მხრივაც სოციალისტური რეალიზმი ხავსებით და მთლიანად ეყრდნობა მატერიალისტურ დიალექტიკას, იხილავს მოვლენებს არა მარტო არსებულის თვალსაზრისით, არამედ თანადობის თვალსაზრისითაც, იმის თვალსაზრისითაც, რაც უნდა იყოს. ისტორიული სიმართლე ეს არის პირველი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკებს, სწორედ ამ ისტორიულ სიმართლეში იჩენს თავს პროლეტარიატის ძალა, ისტორიულად პროგრესიული კლასის ძალა.

პროლეტარიატს არ ეშინია ისტორიული სიმართლის, არ ეშინია იმიტომ, რომ ისტორია პროლეტარიატის მხარეზეა. ისტორიულად პროგრესიული კლასი — პროლეტარიატი ანგრევს არსებულს მომავლისათვის. არსებულის განხილვა მისი მომავლის ტენდენციის თვალსაზრისით — ეს სოციალისტური რეალიზმის ძირითადი მოთხოვნაა. ტენდენციურობა ამ მხრივ არ წარმოადგენს თვით მიზანს, ტენდენციურობა ბუნებრივად გამომდინარეობს მოვლენის თვით დედაარსიდან. იგი ძალით არ აქვს თავზე მოხვეული არც მკითხველს, არც თვით ავტორს, არამედ ობიექტურად გამომდინარეობს საქმის დედაარსიდან, როგორც შემოქმედებითი ფაქტის აუცილებელი შედეგი. თქვენ იცით როგორ უყურებდა ენგელსი ბევრ ლიტერატორს, ლაპარაკობდა რა ტენდენციურობაზე ლიტერატურაში, იგი პირდაპირ აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ [illegible] ბოგდეს—უამისოდ მწერალი არ არის მწერალი, იგი უბრალო ნატურალისტია.

საჭიროა მხოლოდ ეს ტენდენცია თავს იჩენდეს ბუნებრივი გზით, როგორც შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი ლიტერატურაში. თქვენ იცით, რომ ენგელსი დასცინოდა ბევრ მწერალს, რომელნიც თავიანთ დასკვნებს ხელოვნურად, უხეშად ახვევენ თავზე მკითხველებს. და როგორც კი გამოდის გმირი, თქვენ მაშინათვე იცით, თუ რა უნდა გააკეთოს მან და რანაირი იქნება იმისი ბედი. ასეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს არ აქვს აზრი, ინტერესი. დიდი მხატვრის ოსტატობა, რომელიც შეიარაღებულია მატერიალისტური დიალექტიკით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს სჭიდებს თავისი შემოქმედების ძირითად რგოლს იმგვარად, რომ მკითხველი იმსჭვალება ავტორის იდეებით, მის აზრებით, „ტენდენციებით", ისე რომ მას თითონაც კი არ ესმის ეს. ეს არის მწერლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგი. სოციალისტური რეალიზმი არ უარყოფს ტენდენციურობას, პირიქით, სწორედ შეიცავს ამ ტენდენციურობას.

მეორე საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალისტურმა რეალიზმმა უნდა გამოაშკარავოს ის წინააღმდეგობა, რომელსაც მოვლენა შეიცავს. თუ ეს წინააღმდეგობა არ იქნა გამოაშკარავებული, თემა ბოლომდე არ იქნება მიყვანილი და დედაარსიც შეუცნობელი დარჩება ამ შინაგან წინააღმდეგობათა გამოაშკარავების თვალსაზრისით. აი რას შეიცავს სოციალისტური რეალიზმი. ეს ორი მომენტი: ერთის მხრით რევოლუციური ტენდენციურობა, ხოლო მეორეს მხრით, შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც ჩვენ უნდა გამოვააშკარავოთ მხატვრულ შემოქმედებაში ძირითადად განსაზღვრავს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს. ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეობა ცდილობს გამოიყენოს „სოციალისტური რეალიზმის" მსგავსი რამ და ამას ბურჟუაზიული მეცნიერები უწოდებენ რაციონალისტურ რეალიზმს. ამ რაციონალისტურ რეალიზმს არაფერი აქვს საერთო სოციალისტურ რეალიზმთან. თქვენ იცით, რომ სოციალისტური რეალიზმის გამოყენება შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, როცა პროლეტარიატი აშენებს ახალ საზოგადოებას, სოციალიზმს. იმ რაციონალისტურ რეალიზმს, რომელსაც დასავლეთში იყენებენ ლიტერატურაში, არაფერი აქვს საერთო ნამდვილ რეალიზმთან. ეს არის „რეალიზმი", რომლის გადამუშავებაც ხდება ბურჟუაზიული მწერლის, ბურჟუაზიული მეცნიერის თავში.

მაშასადამე, ფილმი „ჩაპაევის" გამარჯვება ეს არის სოციალისტური რეალიზმის გამარჯვება, მარქსისტული-ლენინური თეორიის გამარჯვება ხელოვნების დარგში.

საქმე იმაშია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სწორი საწყისი, ერთი საქმეა ამ საწყისის განაზრება, საქმე ხომ მარტო იმაში არ არის, რომ გავიგოთ, არამედ იმაშიაც თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ საბოლოო ანგარიშით სწორედ პრაქტიკა სწყვეტს საკითხს. თუ თქვენ კარგად გესმით სოციალისტური რეალიზმი — ეს კიდევ არ ნიშნავს საკითხის გადაჭრას. საკითხის გადაჭრა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად, მარქსისტულ-ლენინურად გამოვიყენოთ სოციალისტური რეალიზმი. ძმ. ვასილიევების ძალა მდგომარეობს იმაში, რომ მათ სწორად გამოიყენეს, სწორად განახორციელეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. საიდან ჩანს ეს? პირველ ყოვლისა იქიდან, რომ ჩაპაევი, როგორც გმირი, როგორც სახე ფილმში გამოხატულია ისე, როგორც იგი სინამდვილეში არსებობდა. აქ ჩანს ისტორიული სიმართლე, რომელიც არც გაზვიადებულია და არც დაპატარავებული თქვენ ჩაპაევი ეკრანზე ნახეთ ისეთი, როგორიც იგი ნამდვილად იყო სამოქალაქო ომის ფრონტზე. ეს არის ისტორიული ჩაპაევი, ისტორიული ჩაპაევის რეპროდუქცია ეკრანზე. მაგრამ საჭირო იყო ყველა იმ წინააღმდეგობის გამოაშკარავება, რომლებსაც თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში ატარებდა თვით ჩაპაევი.

რა წინააღმდეგობები იყო ჩაპაევში? ჩაპაევი გამოსულია გლეხთა წრიდან. მაგრამ ჩაპაევი არ არის უბრალო გლეხი, იგი მოწინავე გლეხია იმ გლეხთა წრიდან, რომლებიც მოვიდნენ რევოლუციასთან და მივიდნენ არა მერყეობით, არამედ მტკიცე გზით. მაგრამ თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველ სტადიაში ჩაპაევი ატარებდა იმ წრის, იმ კლასის წინააღმდეგობებს, რომლიდანაც იგი გამოვიდა. ეს წინააღმდეგობანი შემდეგი ხასიათისაა: ერთგვარი ინდივიდუალიზმი, ერთგვარი პარტიზანობა. ეს არის ყოველივე ის, რაც სწორედ გლეხობას ახასიათებს. გლეხობა, როგორც წვრილი საქონელმწარმოებელი, წვრილსაქონელმწარმოებლის ფსიქოლოგიით, აწარმოებდა არა პოზიციურ ბრძოლას, არამედ პარტიზანულს. ჩვენ ჩაპაევში მისი განვითარების პირველ ეტაპზე ვხედავთ სწორედ ამ წინააღმდეგობებს, კლასობრივი ბუნების, კლასობრივი ხასიათის წინააღმდეგობებს.

ავიღოთ მეორე საკითხი, პატივმოყვარეობის საკითხი. ჩაპაევის პატივმოყვარეობა განვითარების პირველ სტადიაზე მდგომარეობს იმაში, რომ ჩაპაევი პირველ რიგში აყენებს თავის „მეს". იგი ამბობს—„ჩაპაევს იცნობს მთელი ქვეყანა, მე—ჩაპაევი, ჩვენ ჩაპაეველები". აი ამ წინააღმდეგობას ვხედავთ ჩვენ ჩაპაევის, როგორც პიროვნების და როგორც რევოლუციონერის, განვითარების პირველ სტადიაში. მეორე წინააღმდეგობა — ჩაპაევს არ ესმის პარტიის დამრაზმავი როლი და როცა ფურმანოვი მიდის მეორე დივიზიაში, ჩაპაევი უნდობლობით უყურებს მას, რადგან ფიქრობს, რომ ფურმანოვს უნდა დაიკავოს მისი ადგილი. ფილმი „ჩაპაევი" ასახავს მთელ ისტორიულ სიმართლეს, რომელიც იტაცებს არამარტო თვით ავტორებს, არამედ მაყურებელს. რატომ არ ესმის ჩაპაევს პარტიის დამრაზმავი როლი? იმიტომ, რომ იგი გლეხია და არ მიუღია საბრძოლო გამოწრთობა არალეგალურ მუშაობაში, არ გაუვლია პროლეტარული ბრძოლის სკოლა. აი რატომ არ ესმის მას პარტიის მაორგანიზებელი როლი. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს წინააღმდეგობანი მისი პოლიტიკური უმეცრების შედეგია. ჩაპაევის პოლიტიკური უმეცრება მდგომარეობს იმაში, რომ მას არ ესმის რომ, ბოლშევიკი იგივე კომუნისტია. მაგრამ რატომ დგას ჩაპაევი სწორ გზაზე, რატომ მიდის იგი პროლეტარულ რევოლუციასთან და ორგანიულად შეუერთდა მას? ჩაპაევი, მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ, მოქმედებდა სწორი კლასობრივი ინსტიქტით. ჩაპაევმა არ იცის „კაპიტალის" არსებობა, იგი არ იცნობს პროლეტარული რევოლუციის თეორიას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ბოლშევიკია და იბრძვის მუშათა კლასის საქმისთვის, სოციალიზმისთვის. სწორედ აქ მჟღავნდება კლასობრივი ინსტიქტის ძალა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარული პარტია. ეს ის სწორი კლასობრივი ინსტიქტია, რომელმაც ჩაპაევი მიიყვანა პროლეტარულ რევოლუციასთან, რომელმაც იგი გახადა პროლეტარული ბრძოლის ისტორიულ გმირად. სოციალიზმის იდეია, მუშათა კლასის იდეია, როცა იტაცებს თვით მასას ეს იდეა იქცევა მატერიალურ ძალად. თქვენ იცით, რომ მარქსს არა ერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს, ეს დებულება. და აქ სოციალიზმის იდეია, პროლეტარული რევოლუციის იდეია წარმოადგენს მატერიალურ ძალას და ამ ძალის მხარეზე მტკიცედ დგას ჩაპაევი.

პარტიის როლი ამ ფილმში მოცემულია სავსებით აზრიანად, მოცემულია ყოველმხრივად. მე დიდ შეცდომად მიმაჩნია ზოგიერთი კრიტიკოსის აზრი, როდესაც ისინი პარტიის როლს ამ ფილმში შემცირებულად სთვლიდენ. პარტიის როლი ფილმში გამოხატულია იმ სახით, როგორადაც იგი მოცემული იყო ისტორიულად. ფურმანოვის სახით პარტია მტკიცე ხელმძღვანელობას უწევდა ჩაპაევს და სამოქალაქო ომს.

„ჩაპაევში" ჩვენ გვაქვს მთელი რიგი განსაკუთრებით შესანიშნავი მომენტები. პირველი შესანიშნავი მომენტი — ეს ის მომენტია, როცა ჩაპაევი პირველად ხვდება თავის კომისარს, ფურმანოვს და როცა იგი ემშვიდობება მას. ეს მომენტი მთლიანად იპყრობს მაყურებელს. იგი ამაღლებელია.

შემდეგ ამაღლებელ მომენტს წარმოადგენს თეთრების ეგრეთწოდებული „ფსიქიური იერიში". მაგრამ ყველაზე გადამწყვეტი და მეტად ამაღლებელი მომენტი არის თვით ჩაპაევის ტრაგიკულად დაღუპვა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ არავითარი ტრაგიზმი პროლეტარულ რევოლუციონერს არ შეიძლება ჰქონდეს. ტრაგიზმი არის, მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ეს. ტრაგიზმი — როგორც ფიზიკური, თუ როგორც იდეური მოვლენა? იდეური ტრაგიზმი აქ, რასაკვირველია, არ არის. მაგრამ არის ფიზიკური ტრაგიზმი, ე. ი. ჩაპაევის ფიზიკური დაღუპვა. დაღუპვის ეს მომენტი ყველაზე გადამწყვეტი მომენტია ფილმში.

მე აქ ვლაპარაკობდი წინააღმდეგობებზე ისტორიული ხასიათის წინააღმდეგობანი ჰპოებენ გადაწყვეტას. თუ წინააღმდეგობები არ წყდება, აშკარაა, რომ მწერალს არ შეუძლია მივიდეს სწორ დასკვნამდე.

საქმე სწორედ იმაშია, რომ იმ წინააღმდეგობამ, რომელსაც პირველად ჩვენ ვხედავდით ჩაპაევში, შემდეგში ჰპოვა გადაწყვეტა! ეს წინააღმდეგობა წყდება იმით, რომ ჩაპაევი პროლეტარული რევოლუციის მხარეზე გადადის არა იმ ტრადიციებით, რომლებიც მას ახასიათებდა დასაწყისში, არამედ, პირიქით, იგი განთავისუფლდა ამ ტრადიციებისაგან. ძმებმა ვასილიევებმა ეს წინააღმდეგობა გადაჭრეს და სავსებით დიალექტიკურადაც. წინააღმდეგობათა ეს დიალექტიკური გადაჭრა სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტია.

წინანდელი ფილმები გვიხატავდენ ჩვენ კლასობრივ მტერს, მაგრამ ხშირად უხეიროდ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კლასობრივ მტერს გვიხატავდენ არა ისტორიული სახით, არა იმ სახით, როგორითაც ის არსებობდა, არამედ ცდილობდენ ეჩვენებიათ იგი, როგორც თეთრგვარდიელთა „ბანდა", ცუდად შეიარაღებული, რომელსაც არავითარი ტაქტიკა არ აქვს და სრულიად ბრმად მოქმედებს ისტორიის წინააღმდეგ. ჩვენი კლასობრივი მტრის ეს დაკნინებულად წარმოდგენა სოციალისტურ რეალიზმს არ უნდა ახასიათებდეს. სოციალისტური რეალიზმი ცდილობს გვიჩვენოს შეიარაღებული კონტრ-რევოლუცია, როგორც რეალური ძალა. პროლეტარული რევოლუცია აწარმოებდა და აწარმოებს კლასობრივ ბრძოლას რეალურ ძალასთან, ჩვენს კლასობრივ მტრებთან და არა ფიქციასთან ქარის წისქვილებთან. „ჩაპაევის" ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ფილმი გვიჩვენებს ნამდვილ კლასობრივ მტერს, რომელიც გაანადგურა პროლეტარული რევოლუციის ამოწვდილმა მახვილმა.

სოციალისტურ რეალიზმს ადამიანი ესმის მის კონკრეტულობაში. არ არსებობენ აბსტრაქტული ადამიანები. ადამიანები ქმნიან ისტორიას; მაგრამ კაპიტალიზმის, სასაქონლო მეურნეობის პირობებში ადამიანები ისტორიას ქმნიან ბრმად და ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს ღებულობენ. პროლეტარული დიქტატურის პირობებში ადამიანები შეგნებულად ქმნიან ისტორიას, და ეს ფილმი გვიჩვენებს როგორ ქმნიდენ ჩაპაეველები რევოლუციას, როგორ იბრძოდენ ისინი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, ისტორიულ სიმართლისათვის. აი სწორედ ამაშიც მდგომარეობს „ჩაპაევის" ძალა. კონკრეტული გმირის, ადამიანის ჩვენება—აი რაში მდგომარეობს ამ ფილმის ძალა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს პირველი ფილმია, რომელშიაც მოცემულია კონკრეტული გმირი თავისი ობიექტური სახით.

რა ამოცანები დგას ჩვენი კინემატოგრაფიის წინაშე? ჩვენი კინემატოგრაფიის წინაშე დგას ახალი ადამიანისათვის ბრძოლის ამოცანა. სოციალისტური რეალიზმი ამ მხრივაც წარმოადგენს მეთოდს, რომელიც არაფრით არ შეიძლება შეიცვალოს.

მეორე ხუთწლედის დამლევს ჩვენში აღარ იქნება კლასები. ჩვენ გვექნება უკლასო სოციალისტური საზოგადოება და პოლიტიკური ამოცანა, რომელიც დასახულია მეორე ხუთწლედის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ მოეწყოს უკლასო სოციალისტური საზოგადოება, მოისპოს კლასები. მაგრამ კლასების მოსპობა ამავე დროს ნიშნავს კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას ადამიანთა შეგნებაში. ბევრი ფიქრობს, რომ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ეხება მხოლოდ უპარტიოებს. ეს არ არის სწორი. ეს ეხება აგრეთვე ამ კლასის ავანგარდსაც, მის ნაწილს მეტ-ნაკლები სიძლიერით. თქვენ იცით, რომ მარქსი ჯერ კიდევ სამოციან წლებში წერდა, რომ პროლეტარიატს, მას შემდეგ რაც იგი ძალა-უფლებას დაიპყრობს, მოუხდება 40—50 წლის განმავლობაში მუშაობა თავის-თავზე, რათა დახვეწოს თავისი თავი, რათა გარდაქმნას თავისი შინაგანი ბუნება, სწორედ მებრძოლი კლასის ადამიანის შინაგანი ბუნების გარდაქმნა არის ის ამოცანა, რომელიც კონკრეტულად დასახულია მეორე ხუთწლედის მანძილზე, — ეს არის კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ადამიანთა შეგნებაში. ამ ბრძოლაში, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კინომატოგრაფიას. თქვენ იცით ლენინის აზრი. ლენინი სწორედ ასე აყენებდა საკითხს: ყველა სახის ხელოვნებიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კინო, რადგან კინო წარმოადგენს მასობრივი აგიტაციის და პროპაგანდის საშუალებას. სხვა ასეთი საშუალება ჩვენ არ მოგვეპოვება.

საბჭოთა კინემატოგრაფიის ფრონტზე ჩვენ ამ მხრივ უკვე გვაქვს პირველი გადამწყვეტი მიღწევა. ამ მიღწევას წარმოადგენს ფილმი „ჩაპაევი", „ჩაპაევმა" გვიჩვენა ჩვენ თუ როგორი ისტორიული გაქანება ავიღეთ. მან გვიჩვენა, რომ საბჭოთა კინემატოგრაფიას, საბჭოთა ხელოვნებას შესწევს უნარი „სასწაულებს" მიაღწიოს ხელოვნების დარგში.

როცა ჩაპაევი სდევნის კლასობრივ მტერს, ეს მომენტი ეკრანზე მაყურებელში იწვევს და აძლიერებს არა მარტო აღტაცებას, არამედ აგრეთვე კომუნიზმისათვის, უკლასო სოციალისტური საზოგადოების განხორციელებისათვის ბრძოლის შინაგან აუცილებლობას. ამ მხრივ ჩაპაევი, მისი დაღუპვიდან 15 წლის შემდეგაც, ჩვენთან ერთად არის, ჩვენთან ერთად იბრძვის სოციალიზმისათვის, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის...

მწერალ მიხ. ჯავახიშვილის სიტყვა

— მე რომ მივდიოდი „ჩაპაევის" სურათის სანახავად, ამბობს ორატორი, დიდი ეჭვი მჩუხჩუხებდა გულში, მაგრამ პირველ მოქმედების შემდეგ ყველა ეჭვი გამეფანტა. მე მეგონა ვნახავდი რომანტიკაზე აშენებულ ფილმს, მაგრამ მოვტყუვდი. ფილმი პირწავარდნილი რეალური ნიშნისაა, ეს არის სოციალისტური რეალიზმის ნარკვევი.

ეს ფილმი ისეთი გულწრფელი სიტკბოებით გაღელვებს, რომ ის ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ შესაძლებელი ყოფილა გმირების ეპოქის შექმნა წმინდა რეალიზმის ხერხებით.

მე მაგონდება რამდენიმე მომენტი სხვა ფილმებიდან. სხვა ფილმები ერთხელ რომ ნახო, მეორეჯერ მისი ნახვა მაინც დამაინც არ მოგინდება. ეს კი ისეთი სურათია რომელიც მეორედაც და მესამედაც გაჩვენებს თავის თავს. უბრალოება, მარტივობა—ნიშანი არის ამ ფილმის გამარჯვებისა.

გაიხსენეთ პირველი სურათი, სადაც ჩაპაევი უხსნის თავის ამხანაგებს, თუ სად უნდა იყოს უფროსი. აი სულ უბრალო ხერხი, მაგრამ სწორედ ეს არის ამ სურათის გამარჯვება. გაიხსენეთ თვით ტიპი ჩაპაევისა მეტად მარტივი, მეტად გულწრფელი. გაიხსენეთ მისი პოლიტიკური ჩამორჩენა, გაიხსენეთ აგრეთვე მეორე და მესამე სურათი. ამგვარი მომენტებით უხვად არის აღსავსე მთელი ფილმი. უყურებთ ჩაპაევს და მძაფრად გრძნობთ იმას, რომ ეს კაცი შეპყრობილია ხალხის ალღოთი, კლასობრივი ინსტიქტით, იმ ინსტიქტით, რომელმაც აამოძრავა სამოქალაქო ომისათვის მასები. საბჭოთა სისტემა — აი ამ ალღოთი არის გამსჭვალული ჩაპაევი. ეს ალღო ნაყოფიერად გადმოდის ეკრანიდან და თქვენ გედებათ.

მე დიდად მომწონს ამ ფილმის უბრალოება. უბრალოებას მეტად ვაფასებ. როგორც სცენარისტისათვის, ისე რეჟისორისათვის ამ ფილმით საბჭოთა კინემატოგრაფიამ ძალიან დიდი ნახტომი გააკეთა.

სულ რამდენიმე თვის წინად მილანში გაიმართა მსოფლიო კინემატოგრაფიის ფესტივალი. სადაც საბჭოთა კინემატოგრაფიამ პირველი ჯილდო მიიღო. მე ვფიქრობ, აცხადებს დასასრულს ორატორი, — ხელმეორედ რომ გაიმართოს ფესტივალი, საბჭოთა კინემატოგრაფია „ჩაპაევის" წყალობით ხელახალ ჯილდოს მიიღებს.

რეჟისორ ლეო ესაკიას სიტყვა

— მე დავიწყებ მით, რომ უსათუოდ ვეთანხმები ამხ. გრიშა მუშიშვილს. მე სიხარულით მოვისმინე მისი მოხსენება, სადაც მან თქვა, რომ ფილმ „ჩაპაევის" ავტორები ლენინის ორდენის ღირსნი არიან.

მე მინდა შევეცადო და გავარკვიო, თუ რით მიაღწიეს ამ ფილმის ავტორებმა ასეთ წარმატებას. პირველყოვლისა, მოვიგონოთ თვით ნაწარმოების ავტორი დ. ფურმანოვი. თქვენ კარგად იცით, რომ ფურმანოვი იყო ერთ-ერთი საუკეთესო პროლეტარული მწერალი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლებში კონტრ-რევოლუციასთან, კლასობრივ მტერთან და თვითონ დასწერა საუკეთესო ნაწარმოები სამოქალაქო ომის შესახებ.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს კარგი ნაწარმოების კინო-ფილმად გაკეთების სიძნელეებზე. საკმარისია თუ არა გვქონდეს კარგი ნაწარმოები, რომ კარგი კინო-ფილმი მივიღოთ? ცხადია, არა. ჩაპაევი რომ ისე ყოფილიყო გადაღებული, როგორც ის დაწერილია, ასეთ ჩაპაევს ჩვენ ვერ მივიღებდით. აქ საჭიროა ამ შესანიშნავ ლიტერატურულ ნაწარმოებიდან იმ ყველაზე ძირითადის შერჩევა, რომელიც კინემატოგრაფიაში მოგვცემდა იმავე ეფექტს, შესაძლებელია მეტსაც, ვიდრე თვით ლიტერატურული ნაწარმოები. ამ მხრივ „ჩაპაევის" სცენარის ავტორმა და რეჟისორებმა ვასილიევებმა შექმნეს შესანიშნავი რამ. მათ შესძლეს შეერჩიათ ყოველივე ის, რაც ასახავს ჩაპაევს, ეპოქას მასში კინემატოგრაფიული ეკვივალენტი, ამაში მათ მართლაც მიაღწიეს გამარჯვებას.

რომელი მხრიდანაც არ უნდა მივუდგეთ „ჩაპაევს", რა იდეური თვალსაზრისითაც არ უნდა შევხედოთ მას—ყველგან სავსებით სწორად არის გადაჭრილი ყველა საკითხი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფილმი „ჩაპაევი" არის სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ზეიმი. ჩვენ წინად სათანადოთ არ ვაფასებდით ამ მეთოდს და ვცდებოდით რაღაც ფორმალურ სიახლეს, ჩვენი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ მეტი ფორმალური წარმატებებისათვის მიგვეღწია და ამიტომაც ვერ ვღებულობდით სათანადო ეფექტს. ამ ფილმში — სულ სხვაა. აქ ავტორი გამოდის ამ ფილმის იდეიდან. და ყველა დანარჩენი ფორმალური მომენტი ზომიერად ემორჩილება ამ იდეას. ხელოვნებაში ყველაზე მთავარია ზომიერების მიღწევა. ძმ. ვასილიევები ყველა მომენტს ზომიერად გადმოგვცემენ. მათ აიღეს ყოველივე ის, რაც მათ ესაჭიროებოდათ მასალიდან და სწორად განალაგეს ეს მასალა.

მწერალ კ. გამსახურდიას სიტყვა

აღნიშნავს რა ფურმანოვის ნაწარმოების იშვიათ ღირსებას, ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ წინად რა ძალდატანებითი ტენდენცია ახასიათებდა მწერლობას და საერთოდ რეჟისორებს. ეს ისეთი ტენდენცია იყო, როგორც „ლამაზ გამხდარ ქალის სხეულში ძვლები". ამხ. მუშიშვილის მოხსენება დიდი ყურადღებით მოვისმინე. ბევრი რამ მართალია, ბოლო ერთი შენიშვნა მაინც მინდა გავაკეთო [illegible] მოწოდების გამო „[illegible]" მეთოდიკის გამო, მეთოდს არ აქვს დიდი მნიშვნელობა.

ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორი ძალდატანებითი ტენდენციურობით, მახინჯი სახით ხდებოდა ხოლმე წინად ზოგიერთი ტიპების გადმოცემა. მოჰყავს მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ აპამპულებდენ ჩვენი ხელოვნების წარმომადგენლები, მაგალითად, თავადაზნაურობის ტიპებს. ეხება ფურმანოვის მიღწევას, მაგრამ ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენც გვყავს ასეთივე გმირები, რომლებიც ჩაპაევს არ ჩამორჩებიან. მაგალითად კამო.

ფურმანოვის გამარჯვება ეს არის გზა საბჭოთა კინოს გამარჯვებისა, ეს არის გამარჯვება დიდი ხელოვნების.

რეჟისორ მიხ. ჭიაურელის სიტყვა

— საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიას არ ახსოვს გამარჯვების ისეთი ტრიუმფი, ამბობს ორატორი, რომლითაც ახლა ამაყობენ ძმ. ვასილიევები და მთელი საბჭოთა კინემატოგრაფია. სურათ „ჩაპაევის" ძლიერება არა მარტო იმაშია, რომ ის ემოციონალურია, აჯადოებს მაყურებელს, არამედ იმაში, რომ რეჟისორებმა ვასილიევებმა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლების საშუალებით, რაზედაც აქ მომხსენებელი მშვენივრად ლაპარაკობდა, შესძლეს მოეცათ ისეთი ადამიანი, რომლის მსგავსი არც თეატრში, არც კინოში არ ყოფილა მიღწეული. ჩაპაევის ფიგურამ წაშალა ხელოვნების ყველა ზღვარი და აქტიორი ბაბოჩკინი ცოცხლობს ეკრანზე. მან არა თუ უბრალოდ გარდაქმნა თავისი თავი როლში, არამედ ის ისე მთლიანად გარდაიქმნა ფსიქოლოგიურად, რომ აზროვნობს ისევე, როგორც აზროვნობდა ჩაპაევი. მე ვუყურებდი სურათს და ერთი წუთითაც ვერ დავივიწყე, რომ მე ეკრანზე ვუყურებ აქტიორს და არა ცოცხალ ჩაპაევს. ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, ზედმიწევნით დამაჯერებელია ეს არის სოციალისტური რეალიზმის უმაღლესი ფაზა.

მსოფლმხედველობა და ტენდენცია უნდა გამოსჭვივოდეს ხელოვნების ყველა ნაწარმოებში. ვინაიდან ხელოვნება უნდა იყოს ტენდენციური. მაგრამ ხელოვნება უნდა გადაიქცეს დიდი ოსტატის საშუალებად.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ ნაწარმოების ძლიერება მდგომარეობს იმაში, რომ ის თავიდან ბოლომდე ტენდენციურია, მაგრამ ის როდია სქემატიური, შიშველი აგიტაცია, არამედ დიდი ხელოვნების საშუალებით განცდილი და ღრმა ტენდენციური, ნაწარმოები.

ჩვენთვის ეს სურათი არის უმშვენიერესი მოვლენა და თითქმის დაუძლეველი სიმაღლე. თითქმის ყველა რესპუბლიკაში, სადაც კი გამოჩნდება „ჩაპაევი", ხდება მობილიზაცია შემოქმედებითი ძალებისა იმისათვის, რათა გაითავისონ ეს სოციალისტური მეთოდი, დამყარებული მარქსისტულ ლენინურ მსოფლმხედველობაზე.

თუ ამჟამად — ლაპარაკობს ორატორი — პროლეტარულ სამშობლოში — მოსკოვში და მთელს საბჭოთა კავშირში მუშები მიდიან „ჩაპაევის" სანახავად პლაკატებით — „გაუმარჯოს ვასილიევების შემოქმედებას", ჩვენ კი მივდივართ ძმები ვასილიევების სანახავად, „ჩაპაევის" სანახავად იმიტომ, რომ მათ გადმოგვცეს ისტორია უტყუარად.

ძმ. ვასილიევების შემოქმედება — ეს არის კომუნისტური პარტიის შემოქმედება როცა ასეთი ფილმები გვაქვს ჩვენ, შემოქმედების მუშაკებს, შეგვიძლია მთელი მსოფლიოს გასაგონად ვთქვათ, რომ ჩვენში ხელოვნება შეეფერება ჩვენს დიდ მოძრაობას, შეგვიძლია ძირეულად უთხრათ ყველას, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, მივედით იმ მიზნამდე, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფოდით.

მწერალ პ. ჩხიკვაძის სიტყვა

— ჩაპაევი არ არის ბელეტრისტის მიერ გამოგონილი ტიპი. მაგრამ ჩაპაევი არც ჩვეულებრივი მებრძოლი პარტიზანია. ჩაპაევი სამოქალაქო ომებში მონაწილე პარტიზან გმირების ტიპიური განსახიერებაა. ჩაპაევი ფურმანოვის მოთხრობის მიხედვით. ტენდენციური ტიპია, თავისი წიაღიდან აფრენილი არწივი, რომელმაც პირველად არც კი იცის ბრძოლის გზები, არაა პოლიტიკურად გამობრძმედილი და თეორიული ცოდნით აღჭურვილი, მაგრამ ინსტიქტიურად რევოლუციის მომხრეა, მან მხოლოდ მუშათა კლასის ბელადის ლენინის სახელი გაუგონია, ენდობა მხოლოდ მას. ლენინის პარტია მისი პარტიაც არის; ის იბრძვის ამ პარტიის გამარჯვებისათვის, ეს ასეა ფურმანოვის მოთხრობის მიხედვით. ასეთივეა ჩაპაევი კინო ფილმის მიხედვითაც. ფილმის ოსტატური დადგმით ჩაპაევი იდეალიზებულია, მაგრამ მართალი, ადამიანური სახის მატარებელი მებრძოლია.

ორატორი ლაპარაკობს ფილმის ტექნიკურ და მხატვრულ გაფორმებაზე. „ჩაპაევი" უაღრესად რეალისტური ფილმია, მაგრამ ამავე დროს ის მძაფრად არის გაჟღენთილი რევოლუციური რომანტიკით. უყურებ სურათს და გრძნობ რომ იგი სინამდვილეა, მაგრამ ამავე დროს ის მეტია არსებულ სინამდვილეზე. „ჩაპაევის" მაყურებელი პასიური მჭვრეტელის თვალით კი არ უცქერის, არამედ თითონაც მონაწილეობს ფილმში, თვითონაც უშუალოდ განიცდის სამოქალაქო ომების მკაცრ სინამდვილეს და ეკრანიდან „ურას" და ყიჟინას — დარბაზის ყიჟინა და ტაში ცემა უერთდება.

რეჟისორ ნ. შენგელაიას სიტყვა

„ჩაპაევის" გამარჯვება — ლაპარაკობს ორატორი — მდგომარეობს შინაარსში, ფორმასა და გულწრფელობაში. ორატორი ეკამათება კ. გამსახურდიას კინოს გახმოვანების მნიშვნელობის შესახებ და აღნიშნავს, რომ თუ წინად კინემატოგრაფიას უსაყვედურებდენ, რომ ის ვერ გადმოგვცემს ღრმად ფსიქოლოგიას, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ კინოში არ იყო ენა. ენა ერთი აუცილებელი იარაღთაგანია ხასიათის, ტიპის განსასაზღვრავად ამიტომ მაყურებელი ვერ კმაყოფილდებოდა. ხმოვანმა კინომ გადაჭრა ეს საქმე. ხმოვან კინოს აქვს შესაძლებლობა გაცილებით ღრმად და ძლიერად გადმოგვცეს სახეები. მაყურებელმა ჰპოვა სრული დაკმაყოფილება კინოს გახმოვანებით.

გადადის რა თვით ფილმის შეფასებაზე, ორატორი აღნიშნავს, რომ ეს ფილმი არის 23 აპრილის ბრძნული დადგენილების ბრწყინვალე გამარჯვება.

რაში მდგომარეობს ძმ. ვასილიევების კონკრეტული საწარმოო გამარჯვება? ვასილიევებისაგან ჩვენ უნდა ვისწავლოთ სურათის შეგრძნობათა მთლიანობა, „ჩაპაევის" რეჟისორებს აღმოაჩნდათ მასალის შეგრძნობის უჩვეულო მთლიანობა, მათ აღმოაჩნდათ მასალის დაძლევის უდიდესი უნარი. დასძლიეს რა მასალა, ამის შემდეგ ისინი კი არ ქაქანებენ მას, კი არ ეძებენ სხვადასხვა დივერტისმენტებს იდეის შესალამაზებლად, არამედ მათ შემოსწევს თვით ამ იდეის შინაარსი. ეს ჩვენ, ხელოვნების მუშაკებს, გვასწავლის, თუ როგორ უნდა შინაარსის გაღრმავება, როგორ უნდა ვცემდეთ პატივს ფაქტისა და მასალის მთლიანობას, ტემპერამენტისა და გრძნობის მთლიანობას, გულწრფელობას, რწმენას მასალისადმი. აი რამ უზრუნველჰყო სურათის გამარჯვება და რეჟისორის უშუალო მონაწილეობის გაძლიერება.

ორატორი ფართოდ ეხება მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხს და აღნიშნავს, რომ „ჩაპაევი" წარმოადგენს დღევანდელი დღის სურათს. რით იტაცებს ეს სურათი? იმით რომ ის ადამიანს, რომელიც მის ჩაბნელებულ დარბაზში და დაძაბულობით უყურებს ეკრანს, კონკრეტულად, ცოცხლად, სადად უნერგავს იმის შეგნებას, რომ შეიძლება მოჰკლა ადამიანი, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოჰკლავთ კლასობრივ ინსტიქტს.

პროფ. ნათაძის სიტყვა

უდიდესი ეპოქის მიჯნაზე ყოველთვის იბადება უდიდესი ეპოპეა. მაგრამ ეპოპეის შექმნა — ეს ერთბაშად არ ხდება. ეს ყოველთვის იწყება ისეთ პერიოდში, როდესაც ეპოქა მუშავდება, — თანდათან ვარჯიშდება და მთავრდება.

ჩვენთვის — განაგრძობს ორატორი — გარკვეული არის ჩაპაევის მიღწევა. ეს უდიდესი მიღწევაა ხელოვნების. ეს არის სოციალისტური რეალიზმი. ჩაპაევის პიროვნება ეს არის ბაზა ჩვენი სტიქიური გამოხატულებისა, საითაც მიდის ხალხი. მან იცის თუ რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკა, რომელიც ატარებს პოლიტიკურ ფორმას. იყო პერიოდი რყევის სამოქალაქო ომის დასაწყისში. მასამ ჯერ კიდევ არ იცოდა ვინ იყო მისი ინტერესების დამცველი. ამ პერიოდში კონტრ-რევოლუცია გამოდის. გლეხი ხედავს—ჩაპაევი გამოდის, ეს ერთი სტიქიური მომენტია მოქმედებაში. ჩაპაევმა იცის სტიქია, რომელიც მას ამოქმედებს, მაგრამ უნდა ხელმძღვანელი. მეორე პრინციპი — ეს არის პოლიტიკური მუშაობა. ყველაფერი ეს საუცხოოდ არის ფილმში გამოხატული. ამ მიმართულებით უნდა ამუშავდეს ჩვენი ცნობიერება. ამ საქმეს ემსახურება ყველა ხელოვანი. ეს დოკუმენტი მეცნიერულად უნდა იქნას გადამუშავებული. ეს იქნება დიდად მნიშვნელოვანი მუშაობა.

ამხ. ლარცულიანის სიტყვა

— თუ საბჭოთა კინემატოგრაფიის რა დიდ მიღწევას წარმოადგენს ფილმი „ჩაპაევი", ამას მოწმობს ის დიდი აღტაცება, რომლითაც მას შეხვდა საბჭოთა საზოგადოებრიობა. ეს ფილმი ბევრს აჯადოებს: აქ მოცემული ტიპები ძლიერად არის გამოყვანილი. აქ ყველა ტიპები მშვენივრად არის მოცემული. ჩაპაევის სახით გვაქვს მოცემული დაუსრულებელი გმირობა. ვასილიევებმა იშვიათი სისწორით გადმოგვცეს ნათელი სურათი. აქ თვით მოწინააღმდეგე პოლკოვნიკი მოცემულია რეალურ ფორმებში. პოლკოვნიკი ბოროზდინი წარმოადგენს რეალურ ტიპს, რომელიც ნამდვილად ადამიანია, მას კარგად აქვს შეგნებული თავისი ტიპი, მან კარგად იცის, რომ მას საქმე აქვს ძლიერ და სერიოზულ მტერთან.

ამხ. კუზნეცოვის სიტყვა

— მე არ ვარ ფილოსოფოსი, არ ვარ ხელოვნებაში დიდი შემფასებელი—ლაპარაკობს ორატორი. — მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც არმიის წარმომადგენელი, სამოქალაქო ომის მონაწილე, ვიცნობდი რა პირადად ფურმანოვს. მსურს ჩემი შთაბეჭდილების გაზიარება.

სავსებით ცხადია, რომ აქ ჩვენ გვაქვს, როგორც მომხსენებელმა დაასაბუთა, სოციალისტური რეალიზმის გამარჯვება. ამ სურათში ჩვენ ვხედავთ დიდ მიზანსწრაფვას. ცალკეული პრობლემები შეკავშირებული არიან ერთმანეთთან შინაგანი რეალისტური მთლიანობით

ორატორი არჩევს ცალკეულ მომენტებს, სამხედრო საკითხს, კლასობრივი ბრძოლის, კლასობრივი მტრის ჩვენებას, პარტიზანულ ბრძოლას და ხაზს უსვამს იმას, თუ რა იშვიათი ბუნებრიობით, სიმართლით არის მოცემული ყველა მომენტი. ჩვენ იმედი გვაქვს—ამბობს ამხ. კუზნეცოვი, — რომ ახლო მომავალში ჩვენ კიდევ ვიხილავთ „ჩაპაევისებურ" სურათებს სამოქალაქო ომიდან. აქ ლაპარაკობენ, რომ სამოქალაქო ომი მომგებიანი თემაა. მაგრამ შეიძლება თუ არა ასეთი სურათების შექმნა მშვიდობიანი ცხოვრებიდან? მე ვფიქრობ რომ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ ამ მეთოდის ათვისება, გულდასმით დამუშავება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ მალე ვნახავთ სურათზე ჩაპაევს წარმოებიდანაც.

ამხ. გიორგი ყურულაშვილის სიტყვა

— უნდა ითქვას, რომ ჩაპაევი კინომატოგრაფიის უდიდესი გამარჯვებაა. ამ სურათის ძლიერება იმაშია, რომ თუმცა ის ერთ ეპიზოდს იძლევა სამოქალაქო ომის ისტორიიდან, მაგრამ ჩაპაევი ისეა მოცემული ბოლომდე, რომ სრული წარმოდგენა გექმნებათ ჩაპაევზე. მე დიდიხანია ასე არ აუღელვებივარ სურათს. ძნელია აღელვება ჩვენი, განსაკუთრებით იმათი, ვინც ცხოვრებაში იცნობს ასეთ სურათებს. მაგრამ „ჩაპაევმა" აგვაღელვა დიდად.

აქ ბევრი ილაპარაკეს ტენდენციაზე. სურათი უსათუოდ ტენდენციურია. მთელი სურათი გამსჭვალულია მკაფიო ბოლშევიკური იდეოლოგიით. ეს კი უდიდესი ტენდენციაა. ჩვენ არ უარვყოფთ აგიტაციას, მხოლოდ ჩვენ წინააღმდეგი ვართ სინამდვილის უხეირო და უხეში გადმოცემის, როცა აგიტაცია საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს. ჩაპაევი მოცემულია აგიტაციურად. ამ ეპოქის შესახებ შეუძლებელია უკეთესი რამ საგიტაციო დაიწეროს. ამიტომ ის აგიტაციურია ისევე, როგორც ღრმა ტენდენციური. მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ არის ის მოცემული. ორატორი არჩევს რეჟისორების მხატვრულ ხერხებს და დაასკვნის: ამ ფილმში არ არის არცერთი ეპიზოდი, რომელიც არ ყოფილიყო სინამდვილეში, რომელიც არ ასახავდეს ჩაპაევის ცხოვრებას და ბრძოლას, ამას მიუმატეთ ის, რომ სურათი მხატვრულად არის გაკეთებული.

თუ მას ასეთი წარმატება აქვს საბჭოთა კავშირში, მას კიდევ მეტი წარმატება ექნება საზღვარ გარეთ. არა თუ ჩვენი მეგობრები, არამედ ჩვენი მტრებიც იტყვიან, რომ ბოლშევიკებისაგან უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა გაკეთდეს უდიდესი საგიტაციო ფილმი.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამ სურათში არის ზედმეტი კადრები, რომ ესა თუ ის კადრი ყალბია.

შემდეგ ორატორი ეხება სოციალისტური რეალიზმის მეთოდიურ დაუფლებას.

„ჩაპაევი" საბჭოთა კინომატოგრაფიის უდიდესი გამარჯვებაა. ფურმანოვმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩაპაევის გაფორმებაში. ფურმანოვს მე შევხვდი 1918 წელს. ის პარტიაში იყო 1917 წლიდან. ნოვონიკოლაევსკის მაზრა იყო ერთად ერთი მაზრა, სადაც ბოლშევიკური ორგანიზაცია არსებობდა. ჩაპაევები იქ ძალიან ბევრი იყო, ისინი ვერ ერკვეოდენ კომუნისტებ ბოლშევიკებში, ინტერნაციონალებში, მაგრამ მათ იცოდენ, თუ ვის მხარეზე იყვნენ, ვის ებრძოდნენ, სად არიან—კაპიტალისტებთან თუ მათ წინააღმდეგ, მემამულეებთან თუ მათ წინააღმდეგ, ეს მათ კარგად იცოდენ და იბრძოდენ. შემდეგ კი ფურმანოვი და პარტია დაეხმარენ მათ გაზრდილიყვნენ, ჩამოეყალიბებინათ თავიანთი შეგნება და წასულიყვნენ წინ.

ამხ. გიორგი სტურუას სიტყვა

— ჩვენს დღევანდელ კრებას ესწრებიან პარტიის, ხელისუფლების, ჩვენი საუკეთესო მწერლობის, დრამატურგების და კრიტიკოსების წარმომადგენლები. ჩვენ აქ ვხედავთ ჩვენს აუდიტორიაში ჩვენი პროფესორის საუკეთესო წარმომადგენლებს, აქ არიან მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საუკეთესო მუშაკები.

ძნელია ლაპარაკი „ჩაპაევზე" არა იმიტომ, რომ მასალა არ არის. მე თვალყურს ვადევნებდი პრესას, ამხანაგების აქ გამოსვლას და უნდა ვთქვა, რომ არავის არ აღუნიშნავს ამ სურათის უარყოფითი მომენტი. ეს სურათი ყველას იზიდავს, ყველას იტაცებს ისე, რომ გიწვევს მიიღო მონაწილეობა ამ გმირულ ბრძოლაში. ამ სურათში მოცემულია ბოლშევიზმის გამარჯვება, პარტიის პოლიტიკის გამარჯვება სამხედრო მუშაობის დარგში, კერძოდ — საბჭოთა კინომატოგრაფიის დარგში.

ორატორი ეხება სურათის დეტალებს, აღნიშნავს მთელ რიგ მომაჯადოებელ ადგილებს — როცა უყურებ ჩაპაევს არც ერთი გაურკვეველი საკითხი არ მეორდება, ყველაფერი გასაგები, ბუნებრივი და ნათელია. ეს არის გაკვეთილი იმათთვის, ვინც ჩვენში მუშაობს არა მარტო კინომატოგრაფიისა, არამედ ხელოვნების დარგში საერთოდ.

აქ ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლაში გამოსჭვიოდა ის აზრი, რომ ეკრანზე არ შეიძლება გრძელი ისტორიის გადმოცემა, რომ საჭიროა ერთი ნაგლეჯის მოცემა. ეს არ არის სწორი. ყოველივე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოხერხებულად იქნება გადმოცემული მოქმედების მთლიანობა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩაპაევიდან? ამ სურათზე უნდა ისწავლონ ჩვენი ხელოვნების მუშაკებმა, რადგან ის არის პირველი, მეტად სერიოზული და შემოწმებული გაკვეთილი. „ჩაპაევს", იხილავს მთელი ქვეყანა.

ჩვენ გვჭირდება ხელოვნებაში საღი თვითკრიტიკა! რატომ არ შეგვიძლია ჩვენ, რომ ჩვენი პროდუქცია გავატაროთ თვითკრიტიკის ქარცეცხლში? მაშინ ჩვენ დავინახავთ ჩვენ ნაკლოვანებებს, ეს საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი მუშაკები შევაიარაღოთ კოლექტიური გამოცდილებით და საუკეთესო მუშაობის ნიმუშებით. ეს ერთის, ხოლო მეორეს მხრით, მათ გაითვალისწინონ ის გამოცდილება, რომელიც გვაქვს და თავი აარიდონ იმას, რაც არ არის მისაღები.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ „ჩაპაევი" გარდატეხაა ჩვენი საბჭოთა კინომატოგრაფიის ისტორიაში.

ამხ. გრ. მუშიშვილის საბოლოო სიტყვა

როგორც მოსალოდნელი იყო, — ამბობს მომხსენებელი, — ფილმ „ჩაპაევის" დღევანდელმა განხილვამ ცხადჰყო ჩვენ აზრთა სრული ერთიანობა. მართლაც აქ არავითარ მკვახე გამოსვლას არ ჰქონია ადგილი. მაგრამ, როგორც ვიცით, აზრთა ერთიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს აზრთა იგივეობას.

პირველ ყოვლისა ავიღოთ გამსახურდიას გამოსვლა. იგი უარყოფს მეთოდს. მისი აზრით, მარქსიზმ-ლენინიზმში მეთოდს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და საერთოდ ლიტერატურული შემოქმედების მეთოდი მეორეხარისხოვანი მოვლენაა. ეს სრულიადაც არ არის მართალი. თუ ჩვენ არასაკმაოდ შევაფასებთ მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდს, ამ შემთხვევაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ჩვენ ამით სრულიად გამოვფიტავთ ჩვენს შემოქმედებას მთელ ჩვენს თეორიას, მოწინავე პროლეტარიატის მეცნიერულ მსოფლმხედველობას. მარქსი თითონ ამბობდა, რომ არსებითი მის „კაპიტალში"—ეს არის უპირველეს ყოვლისა მეთოდი. მარქსს რომ ეს მეთოდი — დიალექტური მეთოდი არ ჰქონოდა, ჩვენ ვერ მივიღებდით, „კაპიტალს". თვით გამსახურდიასაც კი აქვს თავისი მავნე მეთოდი, რომლის საფუძველზე იგი მუშაობს ლიტერატურაში. გამსახურდია ამასთანავე უარყოფს „ტენდენციას". მე ჩემს მოხსენებაში ვლაპარაკე ტენდენციურობის შესახებ. ჩვენ, რასაკვირველია, ვემხრობით ტენდენციურობას. ტენდენციურობის წინააღმდეგ გამოსვლა ნიშნავს ამათუიმ ნაწარმოების კლასობრივი არსობის წინააღმდეგ გამოსვლას. (ბრომიკერი—ეს ნიშნავს ბურჟუაზიული შეხედულების დაცვას!). ზეკლასობრივი არაფერი არ არის კლასობრივ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში გამსახურდიას შეხედულება შემთხვევითი არ არის, ეს მისი სისტემაა. მაგრამ როცა ტენდენციურობაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტენდენცია ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს შემოქმედებითი ფაქტიდან, ნაწარმოებიდან. თუ ტენდენციას ძალით, უხეშად თავზე ახვევენ მკითხველს ან მაყურებელს, იგი არაფრად არ ვარგა: ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორი თავისი მოწოდების ღირსი არ არის, რომ მან ვერ დასძლია თემა.

დასკვნა ერთადერთია: ჩაპაევი" პირველ ყოვლისა სოციალისტური რეალიზმის მარქსისტულ - ლენინური თეორიის გამარჯვებაა, ეს საბჭოთა კინომატოგრაფიის ტრიუმფია.

„ჩაპაევი" გვაფრთოვანებს ჩვენ, გვაფრთოვანებს სოციალიზმისათვის საბრძოლველად. გვაგონდება — ასკვნის მომხსენებელი დიდი მწერლის დიადი სიტყვები, როცა უყურებ „ჩაპაევს":

«Безумству храбрых поем мы славу».



ჩაპაევის ძეგლი სამარაში

შეასრულეს და კისრულობენ

ჭიდკომბინატის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი, რომელიც ჩაება საბჭოების მეშვიდე ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობაში და წლიური გეგმის 25 დეკემბრამდე შესრულება იკისრა, დღეს ზეიმობს ამ ვალდებულების კიდევ უფრო ადრე გასრულებას.

კომბინატის საამქროებმა (ფოლცხიშვილი, მეგრაბიანი, ლებანიძე) ჯერ კიდევ 17 დეკემბრისათვის შეასრულეს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნისათვის [illegible] პირობა. შესრულდა რა წლიური გეგმა 110,7 პროცენტით და შრომის ნაყოფიერებაც 108,8 პროცენტამდე გაიზარდა.

კომბინატის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები სიტყვას იძლევიან, რომ საბჭოების მეშვიდე ყრილობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობის ტემპებს და 25 იანვრისათვის მთლიანად შეასრულებენ 1935 წლის პირველი თვის გეგმას.

* * *

დაიწყო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-13 სპარტაკიადა

გუშინ, ლენინის სახ. სახსპორტო დარბაზში შესდგა არმიელების მე-13 სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

არმიელების ა.-კ. მე-13 სპარტაკიადა ფაქტიურად საკავშირო ხასიათის შეჯიბრია, ვინაიდან სპარტაკიადაში, გარდა კავკ. წითელდროშოვანი არმიის ნაწილებისა, მონაწილეობას იღებენ ლენინგრადის ოლქის, შუა აზიისა და სამხედრო ფლოტის ნაწილები.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებს შეჯიბრებაში გამოჰყავს 18 კოლექტივი. უნდა აღინიშნოს, რომ კავკ. წითელდროშოვანმა არმიამ ფიზკულტურული მუშაობის კარგად დაყენებისათვის საკავშირო მასშტაბით საუკეთესო შეფასება მიიღო.

საქართველოს პირველ დივიზიის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივისაგან კარგი შედეგი არის მოსალოდნელი, ვინაიდან კოლექტივის შემადგენლობაში უმრავლესობა საკავშირო მასშტაბის ოსტატებია. ძლიერი გუნდი გამოჰყავს ძალოსნობაში სომხეთის დივიზიას, რომლისგანაც მოსალოდნელია მთელი რიგი ახალ რეკორდების დამყარება.

დიდ ინტერესს იწვევს სპარტაკიადაში ბალტიის ფლოტის ძალოსანთა გუნდის მონაწილეობა. გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე საკავშირო ფალავანია.

შეჯიბრებაში გარდა წითელ არმიელებისა მონაწილეობას იღებენ უფროსი შემადგენლობა და მეთაურთა ცოლები.

შეჯიბრება ჩაიმართება შემდეგი პროგრამით: 24 დეკემბერს, დილით, ლენინის სახ. სახსპორტო დარბაზში მოხდება მეორე და მესამე თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება. წითელ არმიისა და ფლოტის სახლში მოხდება შეჯიბრება ჭიდაობაში. ამავე დღეს საღამოს გაგრძელდება შეჯიბრება ტანვარჯიშობასა და ჭიდაობაში. 25 დეკემბერს, იმავე დარბაზში მოხდება შეჯიბრება ტანვარჯიშობაში 1, 2 და 3 თანრიგისათვის. წითელ არმიის სახლში გაგრძელდება შეჯიბრება ჭიდაობაში და სიმძიმეების აწევაში.

26 დეკემბერს იმავე დარბაზში გაიმართება თავისუფალი ვარჯიში, წითელი არმიის სახლში კი გაგრძელდება შეჯიბრება ძალოსნობაში.

სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებს 450 კაცი.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ. 1) გომჩენკო (ბათომი), 2) ჭავჭანიძე (ა.-კ. ქვეითი სკოლის შტაბის უფროსი), 3) სუშენკო (ა.-კ. ქვეითი სკოლა), 4) ფირსტოვა, 5) შახნაზაროვა, 6) მხიაზაროვა, 7) ზაალიშვილი. ტანვარჯიშობის საკავშირო ოსტატი.

ამხ. გიორგი რთველაძის ხსოვნას

დღეს, 24 დეკემბერს, ერთი წელი შესრულდა, რაც ბოლშევიკ მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა ამხ. გიორგი რთველაძე. იგი იყო ძველი მუშა, ტფილისის მთავარ სახელოსნოებში პირველად დაარსებული (1896 წ.) მარქსისტული წრის ერთი აქტიური მონაწილეთაგანი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე შეუდრეკლად იბრძოდა მუშათა კლასის მოწინავე რიგებში პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ჩვენი მუშა-ახალგაზრდობისათვის მაგალითის მიმცემია ამ მებრძოლი ბოლშევიკის—მუშის მიერ განვლილი ცხოვრების გზა.

ამიტომ ვიგონებთ ამხანაგ გიორგის ცხოვრებას მისი გარდაცვალების წლისთავზე და ვეუბნებით ჩვენ მუშა-ახალგაზრდობას:

იბრძოლეთ, იმუშავეთ ისე გულწრფელად და მედგრად, ისე შეუპოვრად და გატაცებით, როგორც იბრძოდა ამხ. გიორგი.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაავადმყოფებულ ამხ. გიორგის სიხარულით ევსებოდა გული, როცა ხედავდა, რომ მის მიერ ბრძოლის ქარცეცხლში გამოტარებული წითელი დროშა, სოციალისტური წყობილების მშენებელი ახალგაზრდობის სანდო ხელში იყო.

ძველ ბოლშ. საზ-ბის ბიურო.

ქრონიკა

— 25 დეკემბერს, საღამოს 8½ საათზე სახ. უნივერსიტეტში (აუდიტორია № 146) სალიტერატურო სამეცნიერო წრის საჯარო სხდომაზე პროფ. შ. ნუცუბიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: ფაშიზმი და კულტურა.

შესვლა თავისუფალია.

★

25 დეკემბერს საღამოს 7 საათზე მწერალთა სახლში (მაჩაბლის 13) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს შემოქმედ. დისკუსიას თემაზე: „სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება".

მომხსენებელი — ვალერიან გაფრინდაშვილი.

კამათში მონაწილეობას მიიღებს მწერალთა და კრიტიკოსთა აქტივი.

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორჯ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი იუწყება, რომ ა.-წ. 26 დეკემბერს საღამოს სრულ 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 8) შესდგება პროპაგანდისტების რაიონული თათბირი, პარტკაბინეტის მდივნებთან და პარტორგანიზატორებთან ერთად.

დღის წესრიგში: ამ. ბედიას მოხსენება.

ყველა პროპაგანდისტის, პარტკომის მდივნის და პარტორგანიზატორის დასწრება სავალდებულოა.

★

— 25 დეკემბერს საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში ([illegible] ქ. 30) შესდგება ფილმ „ჩაპაევის" განხილვა პარტკომკავშირული აქტივის და პროპაგანდისტების მიერ.

ფილმის შესახებ შესავალ სიტყვას იტყვის ამხ. ი. [illegible] გამოვლენ [illegible] ბოკერია, [illegible], კალატოზიშვილი, შენგელია.

★

— სტალინის რაიონის პარტგანათლების სახლი აუწყებს რაიონის პარტკომთა ყველა მდივანს, პარტორგებს და პროპაგანდისტებს, რომ ა.-წ. 26 დეკემბერს საღამოს სრულ 7 საათზე პარტგანათლების სახლში შესდგება ამხ. [illegible] მოხსენება საბჭოთა ვაჭრობის საკითხზე და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

სავალდებულოა პარტკომების ყველა მდივნის, პარტორგების და პროპაგანდისტების დასწრება.

★

— სტალინის რაიონის პარტგანათლების სახლი აუწყებს რაიონის ყველა პროპაგანდისტს, რომ 25 დეკემბერს საღამოს 7 საათზე პარტიული განათლების სახლში შესდგება საკანდიდატო, [illegible] პოლიტსკოლების და საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის სკოლების მეორე სემინარი. სავალდებულოა ამ სკოლის პროპაგანდისტების გამოცხადება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებაში

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება წინადადებას იძლევა რიგ გარეშე, უახლოეს დღეებში დამუშავდეს პარტგანათლების ქსელში საკითხი ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.

დამუშავების დროს გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი ლიტერატურა:

1. „ოქტომბრის რევოლუციის საზიზღარი მოღალატეები და დეზერტირები". 22 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა", 23 დეკემბრის „კომუნისტი", 21 დეკემბრის „პრავდა".
2. „სამგზის საზიზღარნი". 23 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა", 23 დეკემბრის „კომუნისტი", 22 დეკემბრის „პრავდა" (მოწინავე).
3. „დაუნდობლად ამოვფხვრათ განადგურებული მტრების ნაშთები" 18 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა", 20 დეკემბრის „კომუნისტი", 17 დეკემბრის „პრავდა" (მოწინავე).
4. „მწუხარება და მრისხანება" 5 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა", 6 დეკემბრის „კომუნისტი", 5 დეკემბრის „პრავდა".
5. „ძვირფასი მირონიჩის ხსოვნას". 9 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა".
6. საქ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმის მისალმება ამხ. სტალინს.
7. საქ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია, 18 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა".
8. „არავითარი შებრალება ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარ ნაძირალებს". მოსკოვის პარტიული აქტივის კრება. 23 დეკემბრის „ზარია ვოსტოკა", „კომუნისტი", „პრავდა".
9. ანტისაბჭოთა ჯგუფის ახალგაზრდა [illegible]. 24 დეკემბრის „კომუნისტი", 23 დეკემბრის „პრავდა".

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება.

◆

პარტ-ლიტერატურის გავრცელება მივიწყებულია

თვითეული კომუნისტის, კომკავშირელის და მშრომელის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარქს-ენგელს, ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიის საფუძვლიანად შესწავლას. ამხ. სტალინი მიგვითითებს, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე არ არსებობს რევოლუციური პრაქტიკა და პირიქით".

ამიტომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ თეორიის შესწავლას და მასების პოლიტიკურ-იდეოლოგიური დონის ამაღლებას. ამიტომაც არის, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებამ დროულად გაშალა სათანადო მუშაობა ამ მეცნიერული თეორიის შესწავლის მიზნით, რისთვისაც რაიონულ პარტკომკავშირულ ორგანიზაციებს მიეცა მტკიცე დავალება პარტლიტერატურის გამავრცელებელ რწმუნებულების გამოყოფის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან საქმეს ზოგიერთი პარტიის და კომკავშირის რაიონები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და დავალება დავალებად რჩება. მთელ რიგ რაიონებში პარტლიტერატურის გამავრცელებელ რწმუნებულებს დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. მაგ. ჩოხატაურის რაიონში პარტლიტერატურის გავრცელების გეგმის მხოლოდ 2,1 პროც. შესრულდა; ფოთის—2,7 პროც, კასპის—4 პროც, ბაღდადის—2 პროც, ხოლო ხონისა და ტყიბულის რაიონში არც ერთი ხელისმოწერა არ ჩატარებულა.

დასახელებულ რაიონებში გეგმის შესრულების სურათი აშკარად მოწმობს, რომ პარტლიტერატურის გავრცელების საქმე სახვათაშორისო საკითხად არის მიჩნეული, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამისთვის სათანადო პასუხი უნდა აგონ ამ ჩამორჩენილ რაიონთა პარტორგანიზაციებმა.

საჭიროა დაუყოვნებლივ გაშალონ სათანადო მუშაობა პარტ-ლიტერატურის მასობრივად გავრცელებისა და მარქს-ლენინიზმის საფუძვლიანად შესწავლისათვის.

დომენტ[illegible].

◆



ამხ. ფ. მახარაძის ბიუსტი, გაკეთებული სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის მიერ.

ხმოვანი კინო თეატრების ქსელი

სახკინო შეუდგა საქართველოს რაიონული ცენტრების და ქალაქების კინოთეატრების და კინოდანადგარების გახმოვანებას.

პირველ რიგში კინოთეატრები გახმოვანებული იქნება: გურჯაანში, ზუგდიდში, თელავში, ლანჩხუთში, ლუქსემბურგში, სამტრედიაში, სენაკში, სიღნაღში, სტალინისში, ბორჯომში, ახალქალაქში, [illegible]ში, ოზურგეთში, ონში, ცაგერში, ხონში, ყვარელში, საგარეჯოში, ჩოხატაურში, ამბროლაურში, მესტიაში (სვანეთი), ხულოში, ქედაში, ხარაგოულში, წალენჯიხაში, აბაშაში, ზაჰესში, რიონჰესში, საქნავთის სარეწაოებზე, წყალტუბოში (ახალი კურორტი), წაღვერში, ახალ ათონში, ქობულეთში, გაგრაში და გუდაუთაში.

ამას გარდა, გახმოვანებული იქნება მთელი რიგი კინო-დანადგარები მუშათა კლუბებში.

იმ ადგილებისათვის, სადაც არ მოიპოვება ელექტროგანათება, სახკინო ამზადებს 4 ხმოვან მოძრავ კინოს (ადს).

ს. ჩხენკელი

მზიან ცხოვრებისაკენ

ეტლი სრიალით მიყვება ახლად გაჭრილ შარას. თვალწინ ნელ-ნელა იკეცება ტირიფონის თვალუწვდენელი ველი. სოფლები: ზერტი, ბერშეული, ხურვალეთი, წინაგარა თანდათან ეფარება თვალთახედვის არეს. სამაგიეროთ მათ ადგილას იშლება ტირიფონის არხის მიერ ახლად გამოჩეკილი სოფლები: ახალი ხურვალეთი, ახალი წინაგარა, წითელი სოფელი, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა და ებრაელთა კოლმეურნეობა.

ამ რამოდენიმე წლის წინათ ამ სოფლების ადგილას უდაბნოსავით ცხელი მინდვრები იყო, სადაც გაჭირვებით თუ მოიყვანდა გლეხი წლიურ სარჩოს. უმეტეს შემთხვევაში კი ტირიფონის მიდამოებში ნათესი ჭირნახული ხელის გულზე მოფშვნილ თუთუნივით გაქონდა გათავხედებულ ქარს და გლეხი უსარჩოდ რჩებოდა მთელი წლის განმავლობაში.

ეს იყო წინათ. ახლა? ახლა კი სიმინდი, პური, ქერი, ჭარხალი, კომბოსტო, კარტოფილი და სხვა კულტურები უცნაურ ხალიჩასავით ამწვანებულა. ირგვლივ და კოლმეურნეობების წითელი ბეღლები სანახევროდ ვერ იტევენ მოზღვავებულ ჭირნახულს. ნათესებში უზარმაზარ [illegible]ვით გაწოლილა მთავარი არხი, რომელიც შორეულ სივრცეში იკარგება. ნელ-ნელა მიდუდუნებს, თითქო ეუბნება გალაღებულ კოლმეურნეებს, [illegible], მომიარეთ, თორემ ხომ გახსოვთ რა მწარე დღეები გაქვთ გამოვლილი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელობის ებრაელთა სამეურნეო არტელიც ტირიფონის არხის ერთი პირმშოთაგანია. მას ხუთიოდე წლის ისტორია აქვს. ეს არტელი მაშინ დაარსდა, როდესაც ტირიფონის ველის ყამირი მიწა პირველად გაანოყიერა ახლად-გაჭრილ არხში მოხეთქილმა ლიახვის წყალმა.

ორიოდე ქუჩაზე გაშენებული [illegible] ლამაზი სახლები თუნუქით დახურული და სუფთად შელესილი,—აი კოლმეურნე ებრაელების საცხოვრებელი ბინები. სისუფთავე ამ კოლმეურნეობაში შესვლისთანავე მოგხვდებათ თვალში.

ექვსი კომლი ცხინვალელი [illegible] ებრაელი იყო ამ კოლმეურნეობის დამწყებნი, რომლებმაც [illegible] კალთის მაგიერ თოხი და ბარი აიღეს ხელში.

— ჰო, ვინ მოსთვლის რამდენი ხალისი და იმედები იყო მაშინ ჩვენს გულში, რა ზიზღით გადავაგდეთ ჩვენი სავაჭრო ბოხჩები და რა სიხარულით შევუდექით ახალ საქმეს, რომელიც ასე უცხო იყო ჩვენთვის, —ამბობს კოლმეურნეობის ბრიგადირი ხაიმ ჯინჯიხაშვილი.

ხაიმი ჯერ კიდევ 1927 წელს ვაჭრობდა წვრილმანით და, როდესაც პირველად მოვიდა არტელში, არც კი იცოდა, როგორ უნდა სჭეროდა თოხი ხელში, მაგრამ დღეს იგი ერთ-ერთი საუკეთესო წევრია კოლმეურნეობისა და 270 შრომა-დღე აქვს გამომუშავებული.

— პირველი ჩვენი არტელი აი იქ იყო, — მიგვანიშნებს ხაიმი დაბლობზე, რომელიც ერთი კილომეტრით არის დაშორებული ახლანდელ მათ საცხოვრებელ ბინებს,—მაგრამ ვინმე ლეფსკის განკარგულებით ის ბინები გააუქმეს, აქ გადმოგვასახლეს და, რაც მთავარია, დატოვებულ ბინებზე დახარჯული 7500 მან. დღეს კოლმეურნეობის ვალს წევრებს გვაქვს გადასახდელი, რადგან ძველი წევრებიდან ზოგი გაირიცხა. საკმაო ბინები დღესაც არ გვაქვს, ბევრ ჩვენგანს ცხინვალში ჰყავს ცოლშვილი, რაც ძალიან ცუდ პირობებს ქმნის მუშაობისათვის. შექმნილია 7 ბინიანი სტანდარტი, მაგრამ ამ ზამთარში, ვგონებ, ვერ მოვასწრებთ, ზამთრისათვის ბოსელსაც ვერ ვამთავრებთ და მუშა-საქონელს საშიშროება ელის. გასულ წელს უბინაობის გამო სიმინდი გაგვიფუჭდა, წელსაც, ალბად, ასე იქნება; არ გვაქვს საბავშო ბაგა, რაც ხელს უშლის ქალების მუშაობას. არ გვაქვს კოოპერატიული დუქანი; არ გვაქვს თონე, რის გამო პურს გორში ვაცხობინებთ; არ გვაქვს საექიმო პუნქტი.

ახლა ის თქვით რაც გაქვთ?—ვეუბნებით მათ ღიმილით.

— რა გვაქვს? საკმაოდ ბევრი მიწა არხის წყლით განოყიერებული და ძალიან დიდი სურვილი, რომ ეს კოლმეურნეობა შევინარჩუნოთ და სოფელ-სოფლად წინ წავიდეთ, არ დავუბრუნდეთ, — ამბობს ხაიმი. ხუთი წელიწადია ვართ აქ და, ვინ იცის რამდენი შრომა დაგვიხარჯავს იმისთვის, რომ ის კოლმეურნეობა ფეხზე დაგვეყენებინა. ჩვენ აქ, ჩვენი ოჯახი ცხინვალში, ძნელი იყო ასე ცხოვრება და გადავწყვიტეთ აქვე აგვეშენებინა სახლები და გადმოგვეყვანა ცოლშვილი.

— ავიღეთ სესხი, მოვიზიდეთ ალიზი და სხვა მასალა და დავდგით რამდენიმე სახლი, შევუდექით ოჯახის მოწყობას, შევიძინეთ ძროხები, ცხვრები, გავიჩინეთ ქათმები. მაგრამ დახეთ უბედურებას: ჩვენი ძროხები და ცხვრები ერთ ღამეს მოიპარეს; გუშინწინ კიდევ ორი უკანასკნელი ცხვარი მოგვპარეს. ქურდები წითელ უბანში აღმოაჩინეს, დავდიოდით მას შემდეგ გორიდან ცხინვალში, ცხინვალიდან ქარელში და პასუხს ვერ ვღირსეთ, — ამბობს მენაშე კრიხელი და გრძელ წვერებზე ხელს ისვამს.

ჭკვიანი სახე, გრძნობიერი გამომეტყველება და ძლიერი ენტუზიაზმი — აი რა ახასიათებს ამ ადამიანს; აშკარად გრძნობთ, რომ მას საბოლოოდ გაუწყვეტია კავშირი ძველ ქვეყანასთან, რომელთანაც მას მხოლოდ ბიბლიური წვერი თუ აკავშირებს.

— ჩვენ აღარ დავუბრუნდებით ძველ ქვეყანას. ეს კოლმეურნეობა ფეხზე უნდა დავაყენოთ. მხოლოდ მეტი ყურადღება მოგვაქციონ და ეს საზიზღარი ქურდობა აღკვეთონ რამენაირად, — გვეუბნება ქალთა ბრიგადის ხელმძღვანელი რივკა კრიხელი. კიდევ თხოვეთ მეშეს ჩვენ მაგიერ, რომ...

— მეშესი, მეშესი... — გაეკვირვა ერთი ახალგაზრდა, რომელიც ამდენხანს ჩუმად გვიგდებდა ყურს. — [illegible] და ჰგონიათ, ყველაფერი მეშესმა უნდა გაგვიკეთოს და ჩაგვიდოს პირში მზა-მზარეულად. მეშესმა მოგვიწყო საუკეთესო მიწები, რომელიც ყველა კოლმეურნეობას არ აქვს ამ რაიონში, მეშესმა გამოგვიყვანა საუკეთესო წყალსადენი, რომელიც ბევრ კოლმეურნეობას შეშურდება. მეშესმა 200.000 მანეთი ფული დახარჯა ჩვენ მშენებლობაზე; დაწყებულია 30 ბინიანი ინდივიდუალური ცხოვრების სახლების აშენება, რომელიც 1935 წელს უნდა დამთავრდეს, განზრახულია ელსადგურის აშენება, წისქვილის დადგმა, კლუბის აშენება და სხვა. როდის დავსვით საკითხი საბავშო ბაგის, საექიმო პუნქტის და სხვა ასეთების მოწყობის შესახებ. თონე თუ არ გვაქვს, სიმინდი თუ გაგვიფუჭდა, ბოსელი თუ არ გვაქვს და სხვა,— ეს ჩვენი ცუდი ხელმძღვანელობის ბრალია და არა მეშესის, რაც მომავალში უნდა გამოვსწოროთ. საჭიროა მეტი ყურადღება მოგვაქციოს რაიონმა და გადამწყვეტი ზომები მიიღოს ქურდობის წინააღმდეგ.

ხალხი, რომელიც ასე აფასებს თავის [illegible], აუცილებლად გაიმარჯვებს. მშრომელი ებრაელები გამოვიდნენ მზის სინათლეზე. მათ არ სურთ ძველ ცხოვრებაზე დაბრუნება.

მზადება პურის თავისუფალი ვაჭრობისათვის

რამდენად არის მზად პურის საცხობებისა და სავაჭროების ქსელი

ამასწინათ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში არის სულ 502 პურის საცხობი, რომლებიც დღეში გამოაცხობენ 846 ტონა პურს, ე. ი. იმდენს, რამდენის გამოცხობაც იანვრისათვის არის გათვალისწინებული.

ვინაიდან პურის არსებული საცხობები მოთხოვნილებასთან შესაბამისად არ არის ტერიტორიალურად განაწილებული, შინავაჭრობის კომისარიატმა სამომხმარებლო კოოპერაციას დაავალა მოაწყოს 21 რაიონში (ტფილისის გამოკლებით) ახალი საცხობები სულ 36,5 ტონა პურის გამტარუნარიანობით.

ამჟამად უკვე მზად არის ასამუშავებლად 410 საცხობი 727,1 ტონა პურის გამტარუნარიანობით, რაც სავსებით უზრუნველყოფს პურის იანვრისათვის გათვალისწინებული რაოდენობის გამოცხობას.

გარდა ამისა, რემონტში იმყოფება 186 საცხობი 220 ტონის გამტარუნარიანობის და ახლად შენდება 51,5 ტონის გამტარუნარიანობის 36 საცხობი.

გასახსნელად გათვალისწინებულ 1236 პურის სავაჭრო წერტილიდან 20 დეკემბერს ექსპლოატაციისთვის მზად იყო 752 წერტილი, საჭირო რაოდენობის 61 პროცენტი. სამხრეთ-ოსეთს სავაჭრო წერტების ქსელი 20 დეკემბრისათვის მთლიანად მზად ჰქონდა.

ჩამორჩენილია აჭარისტანი, რომელსაც ჯერჯერობით მზად აქვს პურის სავაჭრო წერტების საჭირო რაოდენობის მხოლოდ 36 პროცენტი.

ცაგერი ემზადება პურის თავისუფალი ვაჭრობისათვის

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ცაგერის რაიონმა პურის თავისუფალი ვაჭრობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა დროულად გაშალა. რაიონის მთელი მოსახლეობა რომ დაკმაყოფილდეს გამომცხვარი პურით, საჭირო იქნება 8 ფურნე და 2 თონე. რაიონში უკვე არის 2 ფურნე და ერთი თონე. მათი რემონტი მიმდინარეობს. დაწყებულია ერთი ახალი ფურნის აგება, რომელიც დღე-ღამეში გამოაცხობს 1 ტონა პურს. მის აგებაზე დაიხარჯება 8 ათასი მანეთი.

რაიონში იქნება ფქვილის სამი საწყობი: ალპანაში 50 ტონის, ტვიბში 50 ტონის და ცაგერში 80 ტონის ტევადობით. საწყობებისათვის საჭირო ბინები გამონახულია და ფქვილის მისაღებად მზად იქნება 20 დეკემბრიდან. მსხვილ სოფლებში (ორბელი, ლაილაში, ღვირიში, ოყურეში, და სხვ.). გაიყიდება ფქვილი. საცხობების, მაღაზიების და საწყობების აგება - რემონტზე დაიხარჯება დაახლოებით 27.500 მანეთი.

უკვე დაიწყეს საჭირო კვალიფიციური კადრების შერჩევა:

ყველა ამ სამუშაოს ხელმძღვანელობისათვის რაიკომმა სპეციალური კომისია გამოჰყო.

ზ. ყურაშვილი.

პურის ვაჭრობისათვის სამზადისში

(ზესტაფონი, საკ. კორესპ.)

ზესტაფონის რაიონში ამჟამად მომქმედი 3 ფურნე ყოველდღიურად 7 ტონა პურს აცხობს. ეს ვერ უზრუნველყოფს პურის მოთხოვნილებას. ამიტომ ზესტაფონის რაიკომის 7 დეკემბრის დადგენილების თანახმად, დაიწყო და 23 დეკემბრისათვის მზად იქნება დამატებით სამი ახალი ფურნე, რის შემდეგ ყოველდღიურად 12 ტონა პური გამოცხვება.

„საქპურტრესტის" ზესტაფონის განყოფილებამ უკვე დაიწყო რაიონში 50 ტონიანი პურის საწყობის აგება; 1935 წლის პირველ კვარტალში აგებს აგრეთვე 1 ფურნეს, რომელიც გამოაცხობს 15 ტონა პურს; „ზაგოტზერნოს" განყოფილება კი აგებს 5 ტონიან საწყობს.

პირველ იანვრიდან პური გაიყიდება 17 წერტში; აქედან 11 უკვე მზად არის; შენდება და 23 დეკემბრისათვის მზად იქნება 6 ახალი წერტი.

აღსანიშნავია ზესტაფონის რაიკოოპკავშირის (თავმჯდომარე ამხ. ჯულელი) აშკარა უპასუხისმგებლობა ამ საქმეში. რაიკოოპკავშირს ევალებოდა სადგურ ხვირში, აჯამეთში და ძირულაში თონეების აშენება; მასვე უნდა გამოენახა პურის მცხობელები და გამყიდველები; მაგრამ ამ მხრივ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ არის გადადგმული, რაც მიუტევებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

წინასწარი გამოანგარიშებით, რაიონში ყოველთვიურად უნდა გაიყიდოს 50 ტონა გამომცხვარი პური, 105 ტონა ხორბალი და ფქვილი, 71 ტონა საქონლის ფურაჟი და 14,6 ტ. ბურღული.

ვ. გოგიაშვილი.

თიანეთის რაიონმა ტრანსპორტზე უნდა იზრუნოს

თიანეთის რაიონში პურის თავისუფალი ვაჭრობის გაშლისათვის მუშაობა თავიდანვე ფართოდ გაიშალა. წინასწარი გამოანგარიშებით 1935 წლის განმავლობაში ყოველთვიურად რაიონისათვის საჭირო იქნება 30 ტონა პური.

მშრომელთა გამომცხვარი პურით უზრუნველყოფის მიზნით რაიონში მოეწყო ოთხი საცხობი წერტი (ფურნე). აქიდან ორი ფურნე თვით რაიონის ცენტრში, ერთი სოფ. ერწოში და ერთიც — ღულელებში.

შერჩეულია პურის მცხობლები და გამყიდველები.

პურის მარაგის შესანახავად გამოყენებული იქნება რაიკოოპკავშირის საბაზო საწყობი, რომელსაც გაუკეთდა კაპიტალური რემონტი.

ფურაჟი თიანეთში ყოველთვიურად შეზიდული იქნება 68 ტონის რაოდენობით. ფურაჟის გასასყიდად გაიხსნება ორი სავაჭრო. ერთი რაიონის ცენტრში და მეორეც—სოფ. სიმონიანთხევში. რადგან ზამთრის პერიოდში რაიონში პროდუქტების შეზიდვა შეფერხდება თოვლის გამო, მიღებულია ზომები, რომ ამ თავითვე რაიონში შეზიდულ იქნას პურის საიმედო მარაგი—არა ნაკლებ 50 ტონისა.

პარტრაიკომმა წინადადება მისცა თიანეთის რაიკოოპკავშირს, რათა ეხლავე შეუდგეს ხელშეკრულების დადებას კოლმეურნეობებთან საჭირო რაოდენობის ტრანსპორტის შესახებ, რათა პური შეუფერხებლად იქნეს შეზიდული რაიონში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ურმებით თიანეთში პროდუქტების შეზიდვა დიდ ხარჯებს იწვევს.

ამიტომ აუცილებელია რაიონს ყავდეს რამდენიმე სატვირთო ავტომობილი. რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები და შეიძინონ სამი საბარგო მანქანა მაინც.

მ.

□ □ □

„საქპურტრესტის" ცენტრ. საწარმოო ლაბორატორია. სურათზე: ლაბორანტი ქალი ჟენია იტრიევა ამოწმებს ფქვილს.

სტამბა „კომუნისტმა" შეასრულა წლიური გეგმა

საქ. კ.პ. (ბ) სტალინის რაიკომის კონკრეტული ხელმძღვანელობის, ადგილობრივ პარტიულ - პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ძალთა [illegible] განაწილების, შრომის ორგანიზაციის შეცვლით, სტამბა „კომუნისტმა" (დირექტორი ამხ. ზაზარ[illegible]) 20 დეკემბრისათვის 106,1 პროცენტით შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა.

აბრეშუმის ფაბრიკა

წელს ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის მუშათა კოლექტივს (1200 კაცი) წინაშე იდგა 2 მილიონ 116 ათას 800 მეტრი აბრეშუმის ქსოვილის გამოშვების ამოცანა.

სტალინის 6 მითითების და მეურნეობათა პარტიული ხელმძღვანელობის დადგენილებათა განხორციელებით, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის კონკრეტული დახმარებით, ორჯონიკიძის რაიკომის (მდივანი ამხ. ჩიხლაძე) ოპერატიული ხელმძღვანელობის და ფაბრიკის პარტიულ, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების [illegible] მუშაობით, ფაბრიკამ ეს წლიური დავალება უკვე 10 დეკემბრისათვის შეასრულა.

ე. ბოტოხიძე.

საქ. ჯანსახკომის სანიტპროფილაქტიური მოძრავი თეატრი

აღნიშნულმა თეატრმა შემოიარა 29 რაიონი, მათ შორის ფშავ-ხევსურეთი, აჭარისტანი, სამხრეთ-ოსეთი, შირაქის ველი და სხვ. აღნიშნულ რაიონებში ყველგან ჩატარდა სანიტარული წარმოდგენები [illegible], მალარიის, სიფილისის და სხვ. სენის და აგრეთვე ეპიდემიების შესახებ. თეატრი მუშაობდა მტკიცე გეგმის მიხედვით და ადგილობრივი ჯანგანყოფილებების მეთვალყურეობით.

ნორჩი ახალგაზრდობისათვის იმართებოდა ცალკე წარმოდგენები ყვავილის, ქუნთრუშის და [illegible] შესახებ.

საერთოდ აღსანიშნავი არიან ამ თეატრის მუდმივი თანამშრომლები და [illegible] მსახიობნი: თ. ოქრომჭედლიძე, მ. მოსიაშვილი, შუბლაძე, ტყეშელაშვილი და სხვ. ნაყოფიერი მუშაობისათვის თეატრი დაჯილდოვებულია სამხ.-ოსეთის ცაკის მიერ საპატიო სიგელით და თითქმის ყველა მუშათა ორგანიზაციების მიერ, სადაც კი ჩატარებულა მუშაობა ამ თეატრს.

რესპუბლიკურმა ჯან. ინსპექტორთა კონფერენციამ დააჯილდოვა თეატრი პირველი პრემიით. თეატრი დაარსდა (1922 წ. ექ. ნაზარეთიანის მიერ) 3000 დადგმით გამართა სოფლად და კოლმეურნეობებში. სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელია ამხ. წერეთელი. მომავალი მარშრუტი: ხევსურეთი, აფხაზეთი, მთიულეთი, აჭარისტანი, თუშეთი და სხვ.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი	დღეს	25 დეკემბერს	26 დეკემბერს
	მე-13 აბონ. 5 წარ.	მე-15 აბონ. 5 წარ.	4 აბონ. 5 წარ.
	გედების ტბა	ევგენი ონეგინი	ტოსკა

ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-5 საააბონემენტო შესატანი კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება.

დაიწყო მეშვიდე საბონემენტო [illegible] ყველა აბონემენტზე.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის [illegible] თეატრი	დღეს	25 დეკემბერს	27 დეკემბერს
	მე-16 აბ. 8 წარ.	14 აბონ. 8 წარ.	სტ. აბ. 3. მე-3 წ.
	დუშმანი	მაისტერ	ინტერვენცია

20 დეკემბრიდან 2-დი დაიწყება იანვრის თვის ტალონების (ბილეთები) გაცემა. ტალონების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუღალტერიიდან დილის 9-ნახ.—4 საათამდე.

ადგილკომებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები სათანადო საბუთებით ბილეთების მისაღებად. სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი	თარიღი	წარმოდგენა
	24 დეკემ. აბონ. № 2 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 44 მზის დაბნელება
	26 დეკემ. აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 45 ოტელო
	27 დეკემ. აბონ. № 6 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 46 ოტელო

აბონენტთათვის სავალდებულოა მეოთხე გადასახადი.

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 12, 2, 4, 6, 8, 10
დამკვრელი 5, 7, 9, 11
ტემპი 6-30, 8, 9-30, 11
რ. ლუქსემბურგის სახ. 5-30, 7-20, 9-10, 11
„ამ"-ის კინო სახ. 6, 7-30, 10-30

დიდი ხმოვანი ფილმი ჩაპაევი
რეჟისორები ძმ. ვასილიევები.
კ/თეატრების დირექტორებთან მიიღება განცხ. სურათზე კოლექტ. დასწრების შესახებ ყოველდღე 12—4 საათამდე.
მხატვრული ფილმი რისთვის დასაჯეს
მხიარ. ფილმი უკანასკ. მასკარადი დღიდან 12 სთ-დან
ტორჟოკელი გამოჭრელი
ამერიკული სათავგადასავლო ფილმი [illegible] კვალზე. 1-ლი სერია.

მიიღება ხელისმოწერა 1935 წლისათვის გაზ. „კომუნისტზე"

საქართველოს სს რესპუბლიკის გამომცემლობების, ჟურნალების რედაქციების და სანახაობათა საწარმოების მიერ საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში პროცენტების გადარიცხვის შესახებ.

საქართველოს სს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით მოაგონებს მხატვრული ლიტერატურის ყველა გამომცემლობას, ჟურნალების რედაქციებს და სანახაობათა საწარმოებს, რომ თანახმად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წ. 28 ივნისის დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებულია „იზვესტიას" 1934 წლის 29 ივლისის ნომერში, ყველა გამომცემლობა, რომლებიც უშვებენ მხატვრულ ლიტერატურას, ლიტერატურულ-სამხატვრო ჟურნალები და სანახაობათა საწარმოები უნდა ღებულნი არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საპროცენტო ანარიცხები საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში, დაწყებული 1-ლ ივლისიდან, შემდეგი ანგარიშით:

1. გამომცემლობანი და ჟურნალების რედაქციები — ორიგინალურ ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებთათვის (ლექსები, პროზა, დრამატიული ნაწარმოები, ახალგაზრდობის და საბავშო ლიტერატურა, პოპულარული და სამეცნიერო ლიტერატურათმცოდნეობის და კრიტიკული ნაწარმოებზე, ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე). ფაქტიურად გაცემული [illegible] ჰონორარის მთელი თანხის 10 პროცენტის რაოდენობით.
2. სანახაობათა საწარმოები, რომლებიც ახდენენ შესასვლელ ფასს დრამატიული, მუსიკალურ-დრამატიული, ლიტერატურული, ქორეოგრაფიული და სხვ. ნაწარმოებთა შესრულებისათვის, და რომლებიც თავის მოქმედებას სისტემატიურად ახორციელებენ, — დიდი სცენის საწარმოების საერთო შემოსავლიდან 2 პროცენტის რაოდენობით და მცირე ფორმის თეატრები სხვ. 6 (კლუბები, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების თეატრები)—1,2 პროც., რაოდენობით.

აღნიშნული თანხები გადარიცხულ უნდა იქნას სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალებში გამომცემლობების, ჟურნალების რედაქციების და სანახაობათა საწარმოების ადგილსამყოფელის მიხედვით, „საბჭოთა კავშირის ლიტერატურული ფონდის მიმდინარე ანგარიშზე".

„საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში" დანიშნულ ვადაზე შეუტანელი საპროცენტო ანარიცხები გადახდევინებული იქნება უდავო გადახდევინების წესით, საფინანსო ორგანოების დადგენილებებით, ამასთან დანიშნულ ვადაში გადაუხდელი თანხიდან თვითეულ გაცდენილ დღეზე დარიცხება ჯარიმა 0.1 პროც. რაოდენობით.

საქართველოს სს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი ლლონტი.

25 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სტალინის სახ. კლუბის კინო დარბაზში (პლეხანოვის გამზირი № 123)

მოწვეულია სტალინის სახ. რაისაბჭოს მეორე მოწვევის პირველი პლენუმი

დღის წესრიგი:

1. საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგები და რაიონის კომუნალური ქსელის მოწყობის ამოცანები მომხსენებელი ამხ. ხოჯაშვილი.
2. არჩევნები რაისაბჭოს თავმჯდომარის, მოადგილეების და რაისაბჭოს განყოფილების გამგეების დამტკიცება.

სტალინის სახ. რაისაბჭოს საარჩევნო კომისია

მისამართები: რედაქცია: რუსთაველის პროსპექტი № 10, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 84 ტელეფონები: რედაქტორის 3-62 26, რედაქტორის მოადგილის 3-62-08, პასუხისმგებელი მდივნის 3-08 88 მასობრივი განყოფილების 3-73-24, პარტმშენებლობის განყოფილების 3-57-81, სამრეწველო განყოფილების 3-73-40, ხაზინის 3-27-04 გამომცემლობის — 3-51-81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

ტირაჟი 98.000. „სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 58 მთავლიტის რწმუნებული № 9432.